შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: კერძო აღსრულება

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **გიორგი სუხიტაშვილი**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი შალვა ქურდაძე

თბილისი

2020

სარჩევი

ანოტაცია 3

Annotation 4

შესავალი 5

თავი II. აღსრულების ცნება და შინაარსი 9

2.1. აღსრულების ცნება 9

2.2. აღსრულების ორგანოები 16

2.3. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიზანი და ფუნქია 19

2.4. გენერალური ინსპექცია 34

თავი 3. კერძო აღსრულება 46

3.1 კერძო აღმასრულებელი 46

3.2 კერძო აღსრულებიდან წარმოშობილი სასამართლო დავები 56

დასკვნა 57

გამოყენებული ლიტერატურა 62

ანოტაცია

მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება საქართველოში არსებული სააღსრულებო სისტემა, კონკრეტულად იძულებითი აღსრულების განმახორციელებილი ორგანოები, მიმოვიხილავთ სახელმწიფო სააღსრულებო ბიუროს საქმიანობას, რაც შეეხება კერძო სააღსრულებო სისტემას, აღნიშნულ ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული საქართველოში არსებული კერძო სააღსრულებო სისტემა, გავიგებთ ვინ შეიძლება გახდეს კერძო აღმასრულებელი, რა სახის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უწესებს სახელმწიფო კერძო აღმასრულებლობის მსურველებს, რა ფორმით, როგორ და რა ვადით გაიცემა კერძო აღმასრულებლის საქმიანობის ლიცენზია, აქვს თუ არა პასუხისმგებლობის დაზღვევა კერძო აღმასრულებლებს, ვინ ახორციელებს მათი საქმიანობის მონიტორინგს, რა სახის და რა კატეგორიის საქმეთა აღსრულებას ახდენენ კერძო აღმასრულებლები, ვინ შეიძლება მიმართოს კერძო აღმასრულებელს. კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა სასამართლო პრაქტიკის ანალიზს აღნიშნული კატეგორიის დავებთან მიმართებაში.

Annotation

This paper will discuss the existing enforcement system in Georgia, specifically the enforcement agencies, and review the activities of the State Enforcement Bureau in relation to the private enforcement system. In this paper we will discuss in detail the current enforcement system in Georgia. Executives, what types of qualification requirements do public private applicants apply, in what form, how and for what period is a private bailiff's license issued, does private executives have liability insurance, who monitors their activities, what types and types of cases do private executives perform? . A significant part of the research will focus on the analysis of judicial practice in relation to these categories of disputes.

შესავალი

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში საკვანძო ადგილი უკავია კანონის უზენაესობის განმტკიცებას, თუმცა მხოლოდ კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა არ არის საკმარისი სამართლებრივი ქვეყნის ჩამოყალიბებისათვის. ამიტომ სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ქვეყანაში არსებულ სააღსრულებო კანონმდებლობას, ვინაიდან სწორედ აღნიშნული კანონის საფუძველზე ხდება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და სხვა აღსასრულებელი აქტების იძულებითი თუ ნებაყოფლობითი აღსრულება.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონს არცთუისე დიდი ხნის ისტორია აქვს, მოცემული კანონი მიღებულია 1999 წლის 16 აპრილს. მოცემული თარიღიდან დღევანდელ დღემდე აღნიშნულმა კანონმა არაერთი ცვლილება განიცადა და დღესაც მოდერნიზების პროცესში არის.

მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება საქართველოში არსებული სააღსრულებო სისტემა, კონკრეტულად იძულებითი აღსრულების განმახორციელებილი ორგანოები, მოკლედ მიმოვიხილავთ სახელმწიფო სააღსრულებო ბიუროს საქმიანობას, რაც შეეხება კერძო სააღსრულებო სისტემას, აღნიშნულ ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული საქართველოში არსებული კერძო სააღსრულებო სისტემა, გავიგებთ ვინ შეიძლება გახდეს კერძო აღმასრულებელი, რა სახის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უწესებს სახელმწიფო კერძო აღმასრულებლობის მსურველებს, რა ფორმით, როგორ და რა ვადით გაიცემა კერძო აღმასრულებლის საქმიანობის ლიცენზია, აქვს თუ არა პასუხისმგებლობის დაზღვევა კერძო აღმასრულებლებს, ვინ ახორციელებს მათი საქმიანობის მონიტორინგს, რა სახის და რა კატეგორიის საქმეთა აღსრულებას ახდენენ კერძო აღმასრულებლები, ვინ შეიძლება მიმართოს კერძო აღმასრულებელს.

დღევანდელი კანონმდებლობის საფუძველზე განვიხილავთ თუ რა სახის სამოქალაქო ვალდებულებითი ურთიერთობის შედეგად შეიძლება წარმოიშვას სააღსრულებო ბიუროსთვის მიმართვის საფუძველი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ვინაიდან სამოქალაქო ბრუნვის ფორმირებაში ცენტრალური მნიშვნელობა ხელშეკ-რულებებს ენიჭებათ. შესაბამისად, სახელშეკრულებო სამართალი სამოქალაქო ბრუნვის რეგულირებით სიმდიდრისა და ძალაუფლების წესრიგის განმსაზღვრელია. უმრავლეს საზოგადოებაში საბაზრო ურთიერთობები უმნიშვნელოვანესი

მექანიზმია ქონების წარმოებისა და განაწილებისათვის. სახელშეკრულებო სამართალი აყალიბებს საბაზრო ურთიერთობების მართვის ფუძემდებლურ დანაწესებს. ამდენად, შეცვლილი გარემოებების გავლენით წარმოშობილი ვალდებულების შესრულების გართულების მარეგულირებელი ნორმების მოქნილობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამოქალაქო ბრუნვისა და კომერციული ურთიერთობების სტაბილურობა.

ხელშეკრულება მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას განსაზღვრავს. ხელშეკრულების განმარტების მთავარ მიზანს სწორედ რომ მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების ზუსტად დადგენა, საჭიროების შემთხვევაში კი მათი შევსება წარმოადგენს. ხელშეკრულების განმარტების თეორიულ-სამართლებრივი საკითხების შესწავლა მნიშვნელოვანია ხელშეკრულების კონტრაჰენტებისთვის. ამასთან, რადგანაც ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში ხელშეკრულების განმარტების საკითხი სრულყოფილად არაა დამუშავებული, განმარტების საკითხის შესწავლის დროს დადგენილი და შემუშავებული მოსაზრებები არსებულ კანონმდებლობასთან ერთად სასამართლო პრაქტიკის ამ მიმართულებით განვითარებასაც უწყობს ხელს.

ხელშეკრულების განმარტების საკითხით დაინტერესებული იყვნენ ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში. ნებისა და მისი გამოხატვის შესახებ ანტიკურ სამართალში გამოთქმული მოსაზრებები სამართლის მეცნიერებისათვის ძირითად პლატფორმად იქცა. თავიანთი მოსაზრებების დასაცავად სხვადასხვა თეორიის მომხრეები მხოლოდ ახალი არგუმენტების ძიებით იყვნენ დაკავებული, ვიდრე განმარტების ახალი მეთოდების კვლევით.

თანამედროვე პერიოდში საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით ხელშეკრულების ახსნაგანმარტებას სამეცნიერო კვლევის გზა გაეხსნა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკაში სამოქალაქო ხელშეკრულებების ახსნა-განმარტება დღეისათვის ხშირად არაკვალიფიციური და მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. ვფიქრობთ, ამის გამომწვევი მიზეზი უპირველესად ხელშეკრულების მეცნიერული ახსნა-განმარტების სიმწირეა, მით უფრო, ქართულ ენაზე.

ფულად-საკრედიტო ურთიერთობების ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა სესხი და საბანკო კრედიტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განიხილავს ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის მე-9 და 21-ე თავში. ეს ინსტიტუტები, მათი ერთმანეთისადმი დიდი მსგავსების გამო, ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსების მიერ მოწესრიგებულია ერთ თავში. რუსეთის სამოქალაქო კოდექსით სესხი და საბანკო კრედიტი განხილულია 42-ე თავში. სესხისა და საბანკო კრედიტის ურთიერთმსგავსება ვლინდება სა- ქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ საბანკო კრედიტის ხელშეკ- რულებით, კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. სესხის

ხელშეკრულებამ განვითარების დიდი გზა განვლო. რომის სამართალი სესხის ორი სახის ხელშეკრულებას აღიარებდა, რაც შემდგომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსმაც გაიზიარა. შემდგომ პერიოდში სხვა ქვეყნებმა სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიკაციის დროს სესხის ხელშეკრულების რომაული პრინციპი უარყვეს და ერთმანეთისაგან გამიჯნეს თხოვებისა და სესხის ხელშეკრულებები. ეს ინიციატივა ეკუთვნის გერმანიის სამოქალაქო კოდექსს, რომლის მეორე წიგნის მეშვიდე კარის მეოთხე თავით მოწესრიგებულია თხოვების ხელშეკრულება, ხოლო მეხუთე თავით – სესხის ხელშეკრულება, რის შემდეგაც ეს პოზიცია გაზიარებულ იქნა გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებით.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

თავი II. აღსრულების ცნება და შინაარსი

2.1. აღსრულების ცნება

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს არა მხოლოდ სამოქალაქო და სხვა საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტის წესს, არამედ სასამართლო აქტების, აგრეთვ სათანადო იურისდიქციის მქონე სხვა ორგანოთა მიერ მიღებული აქტების აღსრულების პროცესსაც. არასასამართლო ორგანოთა აქტებიც იმავე წესით უნდა აღსრულდეს, რა წესითაც სასამართლო აქტები აღსრულდება. სააღსრულებო წარმოება სამოქალაქო უფლების დაცვის მექანიზმის შემადგენელი ნაწილი და საბოლოო ეტაპია. მას აქვს თავისი მიზანი, ობიექტი, შინაარსი, დაწყებისა და დამთავრების საფუძვლები, ჰყავს მონაწილე სუბიექტები. სააღსრულებო წარმოება წარმოადგენს ნორმათა სისტემას, რომლებიც აწესრიგებენ სასამართლო აქტების და სათანადო იურისდიქციის მქონე სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი განხორციელების კანონით დადგენილ წესს. თუ სამოქალაქო პროცესის მიზანია დარღვეული ან სადავო მატერიალური უფლების და კანონიერი ინტერესის დაცვა, აღსრულების მიზანია დადასტურებული, უდავოდ ქცეული უფლების რეალურად აღდგენა. დადასტურებული მატერიალური უფლება ან კანონით დაცული ინტერესი, სააღსრულებო წარმოებაში ხორციელდება კანონით დადგენილი სახელმწიფო იძულების მექანიზმის გამოყენების მეშვეობით.

იძულებითი აღსრულების უშუალო ობიექტია სააღსრულებო დოკუმენტები, რომლებიც, როგორც წესი სასამართლო აქტების საფუძველზე გაიცემა. ამასთან იძულებით აღსრულებას ყველა სასამართლო აქტი და სხვა ორგანოთა აქტი როდი ექვემდებარება, ყველა მათგანზე როდი შეიძლება გაიცეს სააღსრულებო დოკუმენტი. მაგალითად თუ საუბარია სასესხო სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია მსესხებელს გადასცეს ფული ან სხვა ნივთი, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მომავალში ვალდებულია დააბრუნოს სესხი.

მოცემული ნორმის თანახმად სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც მსესხებელი გადასცემს სესხის საგანს მსესხებელს და მას წარმოეშობა სესხის დაბრუნების მოთხოვნის უფლება, ისე რომ მას მსესხებლის წინაშე ვალდებულება არ გააჩნია, ხოლო მსესხებელს წარმოეშობა ვალდებულება დააბრუნოს სესხი, ამასთან მას არ წარმოეშობა რაიმეს მოთხოვნის უფლება. ის გარემოება, რომ გამსესხებელს გააჩნია მხოლოდ მოთხოვნის უფლება და მსესხებელს მხოლოდ სესხის დაბრუნების ვალდებულება, განაპირობებს სესხის ხელშეკრულების ცალმხრიობას. შედარებისთვის, ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების ორივე მხარეს გააჩნია, როგორც მოთხოვნის უფლება, ისე ვალდებულება. სესხის ხელშეკრულებაში უნდა ჩანდეს მხარეთა განზრახვა, რომ ისინი დებენ სესხის ხელშეკრულებას. შეიძლება გვქონდეს სესხის არსებობის ყველა სხვა პირობა, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენდეს სესხის ხელშეკრულების დადების საფუძველს. სესხის ხელშეკრულებით, გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნას წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. სესხისათვის მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტი, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. ამ წესის დარღვევით პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმება ბათილია. თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებულ უნდა იქნას კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. თუ პროცენტები არ არის შეპირებული, მოვალეს შეუძლია ვალი დააბრუნოს ვადამდე. პროცენტიანი სესხის ვადამდე დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით ან გამსესხებლის თანხმობით. პროცენტები გადახდილ უნდა იქნას ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ სესხი წინასწარ არის ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნას ვადის დადგომისას. გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას. ეს უფლება მაშინაც არსებობს, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, ხოლო გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ. თანამედროვე მსოფლიოს ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება, მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის საფუძვლისა, ვალდებულებითი სამართლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. შესრულება

ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ფუნდამენტური ელემენტია, რომელსაც ემსახურება მხარეთა ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების განხორციელება. ვალდებულების შესრულების ფუძემდებლურ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ვალდებულებითი სამართალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (შემდგომში – სსკ) შემდეგი სიტყვებით იწყება: ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლება-მოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება ,,ვალდებულებითი ურთიერთობის საგანია. ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. მისი მთელი ორგანიზმი, როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი, შესრულების მექანიზმზეა აგებული. მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა მისი დარღვევისათვის. შესრულება წარმოადგენს მთავარ ღირებულებას არა მარტო მაშინ, როდესაც მშვიდობიანად ვითარდება ვალდებულებითი ურთიერთობა, არამედ მაშინაც, როცა ადგილი აქვს ვალდებულების დარღვევას. აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, რომლის თანახმადაც, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლება-მოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. სკ 316 (1) მუხლი არის საბაზისო მუხლი, რომელიც ქმედების განხორციელების ვალდებულებას ადგენს, რის შესრულებაც მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ აკისრია.

მაშასადამე, ვალდებულება ისეთი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის ძალითაც, ერთი პირი (მოვალე) ვალდებულია შეასრულოს მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ განსაზღვრული მოქმედება, ან თავი შეიკავოს განსაზღვრული მოქმედებისაგან, ხოლო კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მოვალისაგან ვალდებულების შესრულება. ვალდებულების შესრულება გულისხმობს, როგორც "ვალდებულების შესასრულებელ მოქმედებას", ისე "ვალდებულების შესრულების შედეგს". მოვალის ვალდებულებებს ყოფენ ორ ნაწილად: შესრულების ვალდებულება და დაცვის ვალდებულება. შესრულების ვალდებულება ემსახურება კანონიდან ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების დროულ და ჯეროვან შესრულებას, ვალდებულებიი ურთიერთობის დამყარებას და დაცვას. ასეთ ვალდებულებებს მიეკუთვნება ძირითადი და დამატებითი ვალდებულებანი. შესრულების ვალდებულების დარღვევა სახეზეა, როდესაც არ სრულდება ვალდებულება, ან არაჯეროვნად სრულდება. ვალდებულება, რომელიც არ არის დაკავშირებული შესრულებასთან, იგივე დაცვის ვალდებულება, ემსახურება ხელშეკრულების მეორე მხარის უფლებების, სამართლებრივი სიკეთისა და ინტერესების დაცვას. ვალდებულება, ისე როგორც ყველა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა განსაზღვრული იურიდიული ფაქტების საფუძველზე, რომელთაგან კანონი განსაკუთრებით გამოყოფს ისეთ იურიდიულ ფაქტს, როგორიცაა ხელშეკრულება. ხელშეკრულება კერძო პირთა ნებისმიერი შეთანხმებაა,

რომლითაც მხარეებს წარმოეშობათ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ხელშეკრულება არის ორმხრივი გარიგება, რომელიც ითვალისწინებს მინიმუმ ორი ურთიერთ-თანხვედრი ნების გამოვლენის საფუძველზე სამართლებრივი შედეგის მიღწევას. იგი ყოველთვის არის პირადი ხასიათის კავშირი ინდივიდუალურად ზუსტად განსაზღვრულ პირებს შორის. მასში შეთანხმებული პირობები სავალდებულოა პარტნიორებისათვის, რადგან თითოეული მეორეს ნებაყოფლობით უდასტურებს, რომ ისინი უნდა ჩაითვალოს მართებულად.[1] კერძო ავტონომია ყველაზე მეტად ამ სფეროში იჩენს თავს, რაც განსაკუთრებით მიმზიდველია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთათვის, თუმცა მისი გადაჭარბებული გამოყენების თავიდან ასაცილებლად კანონმდებელი განამტკიცებს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პრინციპს, ამ პრინციპის დარღვევის შემთხვევაში კი აწესებს პასუხისმგებლობის შესაბამის ზომებს. ხელშეკრულების დადებისას ყველა მოელის, რომ პარტნიორი შეასრულებს მას. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების პროგრამა სკ. 361 II-შია გადმოცემული. მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს ჯეროვნად, კეთილ-სინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ჯეროვნება ვალდებულების უნაკლობას, ხოლო კეთილსინდისიერება ქცევის მინიმალური სტანდარტის დაცვას გულისხმობს. ვალდებულება სრულდება ჯეროვნად, თუ მოვალე დაპირებულ ქმედებას ასრულებს და შეთანხმებულ შედეგს იწვევს, ხოლო კეთილსინდისიერად, როცა მოვალის ქცევა კრედიტორის გონივრულ მოლოდინსა და ბრუნვის წეს-ჩვეულებებს შეესაბამება. რაც შეეხება დროულობასა და შესრულების ადგილის წინაპირობებს, მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ როგორც შესრულების მოდულების (მიტანის ვალდებულება, წაღების ვალდებულება, გაგზავნის ვალდებულება), ასევე სამართლებრივი რისკების განსაზღვრის თვალსაზრისით. ყველა ერთად კი ვალდებულების სათანადოდ შესრულებას, ხოლო მათი უგულვებელყოფა ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს (სკ. 394 I).[2] საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთი ნიშანია კომერციული დაკრედიტების ზრდა. მაგრამ, ვინაიდან ეს ზრდა არასტაბილურობის პირობებში მიმდინარეობს, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეკონომიკური და პოლიტიკური რისკის შემცირებას ენიჭება. რისკის ძნელად განჭვრეტაობა თავის ასახვას პოულობს დაკრედიტების სტრუქტურასა (ჭარბობს მოკლევადიანი სასხები) და პროცენტის განაკვეთის მაღალ დონეში. რისკის ფაქტორი პირველ რიგში მხედველობაში უნდა მიიღონ, ახალმა საკრედიტო ინსტიტუტებმა, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ ნასესხები სახსრებით გააფართოვონ თავიანთი საქმიანობა, განამტკიცონ ფინანსური მდგომარეობა.

[1] შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, ტომი II, თბ,. 2001, გვ. 9

[2] გიორგი ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, გვ. 57

არასტაბილურობის პირობებში კრედიტები ორმაგად უფრო მეტად საჭიროა. ამის შესაბამისად, აუცილებელია მათი დაფარვის ვარიანტებიც. კრედიტის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება საბაზრო ეკონომიკაში არის იპოთეკა. იურიდიული თვალსაზრისით, იპოთეკა არის სხვისი უძრავი ქონების ნივთობრივი უფლება, რომელიც მდგომერეობს დაგირავებული ქონების ღირებულებიდან ძირითადი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების შესაძლებლობაში. ამ უფლების არსი ისაა, რომ მევალის მიერ აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (მაგ. მიღებული კრედიტის დროზე დაუფლება) კრედიტორს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება უძრავი ქონების ღირებულებიდან შეუძლია. ამრიგად, იპოთეკა წარმოადგენს

ძირითადი მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ხერხს, მაგალითად, საკრედიტო შეთანხმების შესახებ. ასეთნაირადვე, ძირითადი მოთხოვნის ძალადაკარგულად აღიარებას მოსდევს გირაოს ძალდაკარგულობა, გაბათილება. ასეთია იპოთეკის ცნებისა და მნიშვნელობის მიმოხილვა საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის მიხედვით. შემდეგ პარაგრაფში განხილული იქნება იპოთეკის სახეები საქართველოსა და ზემოთ ხსენებულ ქვეყნებში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, იპოთეკა გარდა "ჩვეულებრივისა" შეიძლება იყოს საერთო და მესაკუთრის. მოგეხსენებათ, რომ ქართული კანონმდებლობა გერმანულთან მჭიდრო კავშირშია, თუმცა განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, გერმანული კანონმდებლობა (არა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი) იცნობს იპოთეკის განსაკუთრებულ სახეს ე.წ. დაფარვის იპოთეკას. ჩვეულებრივი იპოთეკა გვევლინება მაშინ, როდესაც იგი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში იგი მოიხსენიება როგორც საბრუნავი იპოთეკა. [3] საერთო იპოთეკას სამოქალაქო კოდექსის 287 მუხლის თანახმად წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მოთხოვნა უზრუნველყოფილია რამდენიმე უძრავ ნივთზე იპოთეკით და კრედიტორს აქვს უფლება დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა ნებისმიერი ნივთიდან თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.[4]ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე მოთხოვნა რამდენიმე უძრავი ნივთითაა უზრუნველყოფილი. ეს კრედიტორს უფრო მეტ გარანტიას აძლევს, იგი სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპს ჰგავს. [5] ამავდროულად არ არის აუცილებელი, რომ ეს ქონება მთლიანად პირადი მოვალის საკუთრება იყოს.[6] ხოლო ამავე კოდექსის 288 მუხლის თანახმად მესაკუთრის იპოთეკა გვაქვს სახეზე,

[3] სანივთო სამართალი 2009წ. ზ. ჭეჭელაშვილი გვ. 434

[4] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2011წ. გვ. 76

[5] ბესარიონ ზოიძე "ქართული სანივთო სამართალი" 2003წ გვ.335

[6] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი 1999წ. წიგნი II ლ. ჭანტურიას კომენტ. გვ.258-259

[7] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2011წ. გვ .76

როდესაც მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს იპოთეკა, არ წარმოშობილა. იგი ქარწყლდება და გადადის უძრავი ნივთის მესაკუთრეზე შესაბამისად იპოთეკაც გადადის ამ უკანასკნელზე.[7] საქართველოს სკ-ის 287-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილენი არ არიან შეზღუდულნი უზრუნველყონ კრედიტორის მოთხოვნა მოვალის საკუთრებაში არსებული რამდენიმე უძრავი ნივთით. მხარეებს შესაძლებლობა აქვთ სახელშეკრულებო შეთანხმებაში გაითვალისწინონ საერთო იპოთეკა, თუმცა, ამგვარ შეთანხმებას სარეგისტრაციო მიზნებისათვის არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. იმ წესიდან გამომდინარე, რომ სარეგისტრაციო განაცხადის საფუძველზე, ერთ უძრავ ნივთზე რეგისტრირდება ერთი უფლება, გავლენას ახდენს საერთო იპოთეკის რეგისტრაციის წესზე.

შესაძლებელია, რეგისტრაციას საფუძვლად დაედოს შეთანხმება, რომელშიც მხარეებმა გაითვალისწინეს საერთო იპოთეკა, თუმცა თითოეული უზრუნველყოფის საგანზე იპოთეკის უფლება წარმოიშობა დამოუკიდებლად, ამონაწერში საერთო იპოთეკის სახეზე მითითების გარეშე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული რამდენიმე ქონებიდან მხოლოდ ერთ უძრავ ნივთზე უფლების წარმოშობა ავტომატურად არ გულისხმობს ყველა დანარჩენ მათგანზე იპოთეკის უფლების გავრცელებას. საერთო იპოთეკის მარეგულირებელი ნორმა ადგენს უფრო მეტად მოთხოვნის რამდენიმე უძრავი ქონებით უზრუნველყოფის შესაძლებლობას, ვიდრე დამოუკიდებელი სახის იპოთეკის არსებობას ადასტურებს. საქართველოს სკ-ის 288-ე მუხლი აწესრიგებს მესაკუთრის იპოთეკის მარეგულირებელ წესს. ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვალია ერთი პირის ხელში როგორც საკუთრების, ასევე იპოთეკის უფლების კონსოლიდაციის, შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც იპოთეკის უფლების გაუქმების კანონისმიერი საფუძველი და არა როგორც დამოუკიდებელი სახის იპოთეკა[7]. მესაკუთრის იპოთეკის წარმოშობის საფუძველები სარეგისტრაციო პრაქტიკაში საფუძვლად ედება იპოთეკის უფლების შეწყვეტას: სსკ-ის 288-ე მუხლით მესაკუთრის იპოთეკა სახეზეა თუ მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს იპოთეკა, არ წარმოშობილა. მაგალითად, ნორმით გათვალისიწნებულ ამ სახის შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თუ საჯარო რეესტრში იპოთეკის უფლების წარმოშობის შემდეგ მოვალე მხარეს არ მიუღია კრედიტით გამოყოფილი თანხა. სესხის მიუღებლობის საფუძველზე მოვალე ცალმხრივად ვერ მიმართავს მარეგისტრირებელ ორგანოს იპოთეკას შეწყვეტის მოთხოვნით. რეგისტრირებული იპოთეკა ამ შემთხვევაში გაუქმდება კრედიტორის ცალმხრივი მიმართვის (წერილის) საფუძველზე საჯარო რეესტრის მიმართ, რომ სესხი არ გაცემულა და ბანკს არ გააჩნია მოთხოვნა მოვალის მიმართ ან მათი ერთობლივი მიმართვით, ძირითადი მოთხოვნის

[7] ჭანტურია ლ., საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, გამომც. "სამართალი", თბ. 1999, გვ. 63-64.

შეუსრულებლობის ფაქტის დასადასტურებლად. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში იპოთეკა გაუქმდება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

სსკ-ის 288-ე მუხლში სიტყვა"გაქარწყლდა", სავარაუდოდ, ძირითადი ვალდებულების ბათილობას ნიშნავს, რაც გულისხმობს იპოთეკის ჩანაწერის გაუქმებას მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტის ბათილობის საფუძველზე. მესაკუთრის იპოთეკა გვაქვს სახეზე, როდესაც მოთხოვნა გადაეცემა მოვალეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით (აუქციონზე ქონების შეძენის გზით, ვალის პატიებით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, მოთხოვნის დათმობით) უძრავი ნივთის მესაკუთრე და იპოთეკარი ერთი და იგივე პირი ხდება. ასეთ შემთხვევაში, მესაკუთრის (იპოთეკარი) ცალმხრივი მიმართვა იპოთეკის უფლების გაუქმების საფუძველია საქართველოს სკ-ით გათვალისწინე-ბული იპოთეკის სახეებად კლასიფიკაცია ფიქციის ხასიათს ატარებს. იპოთეკის სახეების მეცნიერული ანალიზი ადასტურებს იპოთეკის ერთი უნივერსალური ფორმის შექმნისა და სრულყოფის უპირატესობას. იპოთეკის სახეებად დაყოფა მხოლოდ ნორმით დადგენილი კლასიფიკაცია და პრაქტიკულად მას სამართლებრივი მნიშვნელობა არ ენიჭება. იპოთეკის დადგენის ეტაპზე განსაზღვრულობასა და დამოუკიდებლობას ინარჩუნებს როგორც ქონება, ასევე უფლება. უფლების წარმოშობის ეტაპზე, მხედველობაში მაქვს უფლების რეგისტრაცია, არ ხდება მითითება, თუ რა სახის იპოთეკის რეგისტრაცია განხორციელდა. სარეგისტრაციო კანონმდებლობა და პრაქტიკა არ იცნობს ერთი სახის იპოთეკის გარდაქმნას სხვა სახის იპოთეკად. იპოთეკა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ აქცესორული უფლებაა. შესაბამისად მოთხოვნის გაქარწყლება ავტომატურად იწვევს იპოთეკის გაუქმებასაც. მოთხოვნის გაქარწყლება შეიძლება მოხდეს: მოთხოვნის შესრულებით, მისი ბათილობით, შესრულების შეუძლებლობით და სხვა.

შესაბამისად ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე იძულებით აღსრულებას ექვემდებარება მხოლოდ კუთვნილებით სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილებები. ასეთია მოპასუხისთვის თანხის დაკისრების, გამოსახლების (უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის), გირავნობისა და იპოთეკის საგანზე გადახდევინების მიქცევის შესახებ გადაწყვეტილებები. ასეთ გადაწყვეტილებებზე მოსარჩელეს ეძლევა სააღსრულებო ფურცელი, რომელსაც ის წარადგენს იძულებითი აღსრულების მიზნით.

2.2. აღსრულების ორგანოები

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და საგადასახადო ორგანოს შორის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით საგადასახადო ორგანოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით, გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების განსახორციელებლად გადასახადის გადამხდელისაგან ქონების ნუსხის გამოთხოვას, პირის ქონების აღწერას, შეფასებას, ქონებაზე ყადაღის დადების აქტის შედგენას, დალუქვას, მარეგისტრირებელ ორგანოში გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის უზრუნველყოფას, საქართველოს საგადასახადო

კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევაში საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენას, საგადასახადო ორგანოს სახელით სასამართლოსადმი მიმართვას აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ პირის ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელების შემთხვევაში ამ ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით და ამ პუნქტით განსაზღვრული მიზნით სხვა აუცილებელ მოქმედებებს ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, სააღსრულებო წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს მოვალის საკუთრებაში არსებული შენობისათვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის განსაზღვრის თაობაზე, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს – ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების

მიზნით. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია პირის მიმართვის საფუძველზე[8] განახორციელოს შეფასების მომსახურება. ასეთი მომსახურების საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. აღსრულების ეროვნული ბიურო გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას შეასრულებს მეურვის ან/და გაკოტრების მმართველის ფუნქციას, ასევე განახორციელებს სააუქციონო მომსახურებას „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია დადოს ხელშეკრულებები, ისარგებლოს მესამე პირთა მომსახურებით და განახორციელოს სხვა მოქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ფუნქციების შესრულებას. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია

განახორციელოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საქმიანობა, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ კანონით. აღსრულების ეროვნული ბიურო „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში უზრუნველყოფს მისთვის დროებით შესანახად გადაცემული ქონების შენახვას. ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში აგრეთვე ახორციელებს კერძო აღმასრულებელი. კერძო აღსრულების საქმიანობის სპეციფიკის შესახებ კვლევა წარმოდგენილია ნაშრომის მეორე თავში. აღსრულების ეროვნული ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულებას ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. აღსრულების ეროვნულ ბიუროს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეებს და აღსრულების პოლიციის სამმართველოს უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. აღსრულების ეროვნული ბიუროს სხვა მოხელეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს

1. [8] სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, თბ., 1999

თავმჯდომარე. აღსრულების ეროვნული ბიუროს საჯარო მოსამსახურეებს (გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირებისა) შრომითი ხელშეკრულებით სამსახურში იღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებულ პირზე მოახდინოს თავისი უფლებამოსილების დელეგირება. აღნიშნულ პირს ეკრძალება მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა, თუ ამის თაობაზე სპეციალურად არ არის აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებაში. აღსრულების ეროვნული ბიუროს ხარჯთაღრიცხვას, საშტატო ნუსხასა და სახელფასო ფონდს ამტკიცებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. აღსრულების ეროვნული ბიუროს ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლებიდან. აღსრულების ეროვნულ ბიუროს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში. ამასთანავე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჰქონდეს ანგარიში კომერციულ ბანკშიც. აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით. სააღსრულებო ბიუროების სისტემას განსაზღვრავს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით უშუალოდ აღასრულებენ სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლები და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე – აგრეთვე აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირები და აღსრულების ეროვნული ბიუროს სტაჟიორები (შემდგომ – აღმასრულებელი).

სააღსრულებო ბიუროს ხელმძღვანელობს ბიუროს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართვ ელოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის საფასურის ოდენობა, აღსრულების ეროვნულ ბიუროში კონკურსის ჩატარებისა და სტაჟირების გავლის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. სააღსრულებო ბიურო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით და სააღსრულებო ბიუროს დებულებით. სააღსრულებო ბიუროს დებულებასა და

საშტატო ნუსხას ამტკიცებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს[9] იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. სააღსრულებო ბიუროს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

2.3. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიზანი და ფუნქია

აღსრულების ეროვნული ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და ახორციელებს სააღსრულებო საქმიანობას. აღსრულების ეროვნული ბიუროს სრული დასახელებაა: „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო“. აღსრულების ეროვნული ბიუროსა და მისი ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების ბეჭდებზე, ბლანკებზე, აბრებზე, სიმბოლიკაზე, ოფიციალურ დოკუმენტებზე, ვებგვერდზე, სხვა ნებისმიერ რეკვიზიტსა და საქმიან ურთიერთობებში შესაძლებელია აღსრულების ეროვნული ბიუროს შემოკლებული დასახელების („აებ“) გამოყენება, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს დასახელება უნდა შეიცავდეს მითითებას: „საქართველოს იუსტიციის სამინისტრო“. აღსრულების ეროვნული ბიურო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით. აღსრულების ეროვნული ბიურო ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე. აღსრულების ეროვნული ბიურო საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ. აღსრულების ეროვნულ ბიუროს გააჩნია სიმბოლიკა, რომელსაც ამტკიცებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე, ასევე, ბლანკიანი ფურცელი, ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. აღსრულების ეროვნული ბიუროს ძირითადი მიზანია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მითითებული აღსასრულებელი აქტების აღსრულების უზრუნველყოფა და მოქმედი კანონმდებლობით ან ამ დებულებით განსაზღვრული სხვა ისეთი

2. [9] სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, თბ., 1999

დამატებითი საქმიანობის განხორციელება, რომელიც თავსებადია მის ძირითად ფუნქციასთან, მიმართულია პირთა უფლებების დადასტურებისა და დაცვის უზრუნველყოფისაკენ და მიზნად ისახავს მართლმსაჯულების განტვირთვას. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს: ა) ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს; ბ) გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას მეურვის ან/და გაკოტრების მმართველის უფლებამოსილებას, ასევე, აღნიშნულ საქმეებზე სააუქციონო მომსახურებას; გ) კერძო აღმასრულებელთათვის ლიცენზიის გაცემას; დ) კერძო აღმასრულებელთათვის სააუქციონო მომსახურების გაწევას; ე) ფაქტების კონსტატაციას; ვ) ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით გამარტივებულ წარმოებას; ვ) სესხის ხელშეკრულების რეგისტრაციას და გადახდის ვალდებულების შესრულების კონტროლს; ზ) მესამე პირების მომართვის საფუძველზე ქონების შეფასების მომსახურებას; თ) ტერიტორიული სააღსრულებო ბიუროებიდან საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტების გამოთხოვას; ი) კომპეტენციის ფარგლებში, სააღსრულებო კანონმდებლობის განვითარების მიზნებისათვის საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებას და სამინისტროსათვის განსახილველად წარდგენას; კ) სააღსრულებო და არასააღსრულებო წარმოებათა სტატისტიკისა და ანალიზის წარმოებას; ლ) კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გასაჯაროებას; მ) მოვალეთა რეესტრის წარმოებას და საჯარო ინფორმაციის გაცემას ან/და გამოქვეყნებას; ნ) სამსახურებრივი და აღსრულების ქვემდებარეობასთან დაკავშირებული დავების, აგრეთვე აღმასრულებლის მოქმედების თაობაზე საჩივრების განხილვას; ო) აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სააღსრულებო ბიუროების მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის, შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფას; პ) ხელშეკრულებების დადებას, მესამე პირთა მომსახურებით სარგებლობას და სხვა მოქმედებების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მისი ფუნქციების შესრულებას;
ჟ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.
აღსრულების ეროვნულ ბიუროს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს ჰყავს 3 მოადგილე, რომლებსაც მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეები თავმჯდომარის გადაწყვეტილებით კურირებენ აღსრულების ეროვნულ

ბიუროში მათთვის მიკუთვნებულ სფეროს. მოადგილეების უფლებამოსილება განისაზღვრება თავმჯდომარის ბრძანებით. თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობას, მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ასრულებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე: ა) წარმოადგენს აღსრულების ეროვნულ ბიუროს; ბ) კანონმდებლობისა და ამ დებულების ფარგლებში, ხელმძღვანელობს და ერთპიროვნულად წარმართავს აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობას; გ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესრულებისათვის აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროში; დ) ზედამხედველობს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების მიმდინარეობას, ახორციელებს თანამშრომელთა გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას; უფლებამოსილია, სათანადო კანონისმიერი საფუძვლის არსებობისას, ბათილად ცნოს ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს ბიუროს თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილებათა განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილებები კანონით დადგენილი წესით; ე) აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით დებს გარიგებებს და განსაზღვრავს ცალკეულ შემთხვევებში მესამე პირებთან ბიუროს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს; ვ) მინისტრთან შეთანხმებით ამტკიცებს აღსრულების პოლიციის სამმართველოსა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების დებულებებს; ზ) ამტკიცებს აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულების (გარდა აღსრულების პოლიციის სამმართველოსი) დებულებებსა და აღსრულების ეროვნული ბიუროს შრომის შინაგანაწესს; თ) იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით ამტკიცებს ბიუროს ხარჯთაღრიცხვას, საშტატო ნუსხასა და სახელფასო ფონდს; ი) ამტკიცებს ლუქის, ბეჭდის, შტამპების ფორმებს და სამსახურებრივი მოწმობების ნიმუშებს და მათი გამოყენების წესებს; კ) კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტებს; ლ) მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს მოადგილეებს, სამსახურების უფროსებს, აღსრულების პოლიციის სამმართველოს უფროსს და სააღსრულებო ბიუროების უფროსებს; მ) საშტატო ნუსხის შესაბამისად, თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებს და განსაზღვრავს მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობას და კატეგორიას; ნ) უფლებამოსილია კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად აიყვანოს აღსრულების ეროვნული ბიუროს შტატგარეშე თანამშრომლები; ო) ნიშნავს და ათავისუფლებს სტაჟიორებს; პ) უფლებამოსილია აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებულ პირზე მოახდინოს თავისი

უფლებამოსილების დელეგირება. აღნიშნულ პირს ეკრძალება მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა, თუ ამის თაობაზე სპეციალურად არ არის აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებაში; ჟ) უფლებამოსილია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულება ან/და სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება დაავალოს აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებულ პირს; ჟ 1) უფლებამოსილია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულება ან/და აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირის სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება დაავალოს სტაჟიორს; რ) უფლებამოსილია თანამშრომლების მიმართ გამოიყენოს წახალისების ზომები, კომპეტენციის ფარგლებში, მიანიჭოს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებს „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო სპეციალური წოდებები; რ 1) უფლებამოსილია, მინისტრთან შეთანხმებით, ზეგანაკვეთური მუშაობისათვის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის ან/და შესასრულებელი სამუშაოსათვის, რომელიც აღემატება ჩვეულ სამსახურებრივ მოვალეობებს, აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებს განუსაზღვროს დამატებითი საზღაური (დანამატი); რ 2) უფლებამოსილია, მინისტრთან შეთანხმებით, შესაბამისი თანამდებობის პირის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ყოველთვიურად უზრუნველყოს იმ თანამშრომელთა საცხოვრებელი ბინის ან საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურება, რომელთაც უფლებამოსილების განხორციელების ადგილას არ აქვთ საცხოვრებელი ბინა; ს) იხილავს სამსახურებრივ და აღსრულების ქვემდებარეობასთან დაკავშირებულ დავებს, აგრეთვე საჩივრებს აღმასრულებლის ქმედების თაობაზე; ტ) საჭიროების შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, აღმასრულებელს უცვლის სამოქმედო ტერიტორიას კონკრეტული სააღსრულებო საქმის დასრულებამდე; უ) უფლებამოსილია აღმასრულებლის მოქმედებასთან დაკავშირებული საჩივრის საფუძველზე ან თავისი ინიციატივით გააუქმოს აღმასრულებლის მიერ განხორციელებული სააღსრულებო მოქმედება; ფ) უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან მხარის/დაინტერესებული პირის შუამდგომლობით, შეაჩეროს აღმასრულებლის გასაჩივრებული მოქმედება; ქ) ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის ან/და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, წყვეტს ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელთა აცილების ან თვითაცილების საკითხს; ღ) უფლებამოსილია, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 184 მუხლით

[10]გათვალისწინებული შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განწილვადების შესახებ; ყ) უფლებამოსილია, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 84-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უძრავი ქონების მფლობელს დამატებით, 10 დღემდე, გაუზარდოს ქონების მართლზომიერი მფლობელობისა და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვადა; შ) უფლებამოსილია, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, 6 თვის ვადით გადადოს იძულებითი აღსრულების ღონისძიება, ასევე დადგენილი ვადა ერთჯერადად გააგრძელოს კიდევ 6 თვემდე ვადით; ჩ) უფლებამოსილია, განსაკუთრებულ შემთხვევაში შეაჩეროს აღსრულება ან შეწყვიტოს აუქციონი კანონით გათვალისწინებული წესით; ც) უშუალოდ კურირებს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურს; ძ) უშუალოდ ხელმძღვანელობს აღსრულების ეროვნული ბიუროს მმართველ, განვითარებისა და მხარეთა ინტერესების დაცვის საბჭოებს; უშუალოდ გასცემს მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერისადმი დავალებებს; წ) აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის სფეროს მარეგულირებელი აქტების სრულყოფის მიზნით, უზრუნველყოფს შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტების მომზადებას და მინისტრისათვის წარდგენას; ჭ) არაუგვიანეს ყოველი მომდევნო წლის თებერვლისა, მინისტრს წარუდგენს წლიურ ანგარიშს აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის შესახებ; ხ) აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის მიერ სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საფუძველზე წარდგენილი დასკვნის შესაბამისად, იხილავს გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების საკითხს; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საფუძველზე წარდგენილი მოთხოვნის შესაბამისად, ვალდებულია გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიება დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ; დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენებისას უზრუნველყოფს ერთგვაროვან მიდგომას; ჯ) უზრუნველყოფს აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობაზე კონტროლს და მეთოდურ ხელმძღვანელობას; ჰ) უფლებამოსილია, საჭიროების მიხედვით, განსაზღვროს სააღსრულებო ბიუროში აღმასრულებელთა სპეციალიზაცია; ჰ 1) შუამდგომლობს იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის შესახებ, რომლებიც საჭიროა აღსრულების ეროვნული ბიუროს ამოცანების შესასრულებლად; ჰ 2) ცალკეული დავალებების

3. [10] სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, თბ., 1999

შესასრულებლად ქმნის კომისიებს და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს; ჰ 3) კანონმდებლობით დადგენილი წესით, განკარგავს აღსრულების ეროვნული ბიუროს სახსრებს და ქონებას; ჰ 4) ანაწილებს მოვალეობებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს; ჰ 5) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მმართველი საბჭო არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მუდმივმოქმედი, სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებათა მიმღები სათათბირო ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. მმართველი საბჭოს შემდგენლობაში შედიან აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები. განსახილველი საკითხის მიხედვით, საბჭოს სხდომაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნენ სააღსრულებო ბიუროებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ან/და სხვა პირები. მმართველი საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანებით. 2. მმართველი საბჭოს მიზანია აღსრულების ეროვნული ბიუროს ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა. 3. მმართველი საბჭოს ამოცანებია: ა) აღსრულების ეროვნული ბიუროს გამართული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა და სარეკომენდაციო გადაწყვეტილებების მიღება; ბ) საქმიანობის პროცესში წამოჭრილ, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პრობლემებზე მსჯელობა და სარეკომენდაციო გადაწყვეტილებების მიღება; გ) აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის უწყვეტი განვითარების ხელშეწყობა. 4. მმართველი საბჭოს ფუნქციებია: ა) აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრატეგიული მიზნების და ამოცანების განსაზღვრა და მათი შესრულების გზების დასახვა; ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს ბიუჯეტის განხილვა და მის დასამტკიცებლად თავმჯდომარისათვის რეკომენდაციების მიცემა; გ) საჭიროების შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს ბიუჯეტის ფარგლებში ბიუროს სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო ცალკეული პროექტის განხორციელებაზე თავმჯდომარისათვის კონსულტაციების გაწევა; დ) პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ან ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელთა საქმიანობის ანგარიშების მოსმენა და ანგარიშის შედეგად საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ თავმჯდომარის ან/და სხვა უფლებამოსილი პირისათვის რეკომენდაციების მიცემა; ე) აღსრულების ეროვნული ბიურის სტრუქტურულ ერთეულებს შორის წარმოქმნილი დავის განხილვა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ თავმჯდომარისთვის რეკომენდაციის მიცემა; ვ) აღსრულების ეროვნული ბიუროს ფინანსური ანგარიშების მოსმენა; ზ) კვლევების სპეციალისტის მიერ გაკეთებული დასკვნების, ანგარიშების

განხილვა, ხარვეზების გზების დასახვა და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ რეკომედაციების მიცემა; თ) სხვა სათათბირო ორგანოების საქმიანობის ანგარიშის მოსმენა. განვითარების საბჭო არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მუდმივმოქმედი სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებების მიმღები სათათბირო ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. განვითარების საბჭოს შემადგენლობაში შედიან აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, სერვისებისა და ბრენდის განვითარების სამსახურის უფროსი და ეკონომიკური სამსახურის უფროსი. განსახილველი საკითხის მიხედვით, საბჭოს სხდომაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნენ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები ან/და სხვა პირები. საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანებით. 2. განვითარების საბჭოს მიზანია აღსრულების ეროვნული ბიუროს, ასევე ცალკეული პროცესების განვითარებაზე ზრუნვა, მიმდინარე განვითარების პროცესების უწყვეტობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. 3. განვითარების საბჭოს ამოცანებია: ა) აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობაში განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა (მათ შორის, სერვისების განვითარების, ბრენდის განვითარების, გაყიდვების სტიმულირების, საკანონმდებლო ბაზის განვითარების, მხარეთა ინტერესების დაცვისა და სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებში); ბ) განვითარების საბჭოს მიერ მოწონებული პროექტების განხორციელებისა და მიმდინარეობის ზოგადი მონიტორინგი; გ) განვითარების პროექტების ეფექტიანობის შეფასება და ამავე პროექტების განხორციელების საშუალებების შესახებ რეკომენდაციების მიცემა; დ) ადამიანური რესურსების განვითარების უწყვეტობის უზრუნველყოფა. 4. განვითარების საბჭოს ფუნქციებია: ა) სტრუქტურული ერთეულებისა და სააღსრულებო ბიუროებისგან აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის განვითარების მიმართულებით იდეების მოსმენა, განხილვა და შერჩევა (სერვისების განვითარების, ბრენდის განვითარების, გაყიდვების, საკანონმდებლო ბაზის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, სტატისტიკის, ადამიანური რესურსების სტრუქტურების ან/და სხვა ნებისმიერი პირის მიერ); ბ) წარმოდგენილი, ან საბჭოს მიერვე გენერირებული იდეების განხილვის შედეგად, მიზანშეწონილად მიჩნეულ პროექტებზე პასუხისმგებელი პირებისა და სტრუქტურული ერთეულების განსაზღვრის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება; გ) მმართველ და მხარეთა ინტერესების დაცვის საბჭოებზე მიღებული, განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მოსმენა, შესაბამისი ღონისძიებების შესახებ წინადადებების შემუშავება; დ) საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტების განხორციელების პროცესსა და შედეგებზე ანგარიშის მოსმენა; ე) 3 თვეში ერთხელ და, საჭიროებისამებრ, სერვისების წარმომადგენლების და განვითარების მიმართულებით არსებული სამსახურების

უფროსების ანგარიშების მოსმენა განვითარების მიმართულებით მიმდინარე სამუშაოებსა და გეგმებზე; ვ) ადამიანური რესურსების მართვის, განვითარების, შეფასებისა და მოტივირების მიმართულებით მიმდინარე სამუშაოების განხილვა; გაუმჯობესების იდეების განხილვა, შერჩევა, დამტკიცება და განხორციელების მონიტორინგი; ზ) მის მიერ მიღებული რეკომენდაციების შესრულებისა და შედეგიანობის შეფასება.

მხარეთა ინტერესების დაცვის საბჭო არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მუდმივმოქმედი სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებების მიმღები სათათბირო ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. მხარეთა ინტერესების დაცვის საბჭოს შემადგენლობაში შედიან აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, მხარეთა ინტერესების დაცვის, იურიდიული და შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურების უფროსები. განსახილველი საკითხის მიხედვით საბჭოს სხდომაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნენ სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები ან/და სხვა პირები. საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანებით. მხარეთა ინტერესების დაცვის საბჭოს მიზანია მხარეთა ინტერესების დარღვევების გამომწვევი მიზეზების ანალიზი, მათი შემდგომი პრევენციის მიზნით. მხარეთა ინტერესების დაცვის საბჭოს ამოცანებია: ა) სააღსრულებო წარმოების პროცესში გამოვლენილ დარღვევებსა და მათ გამომწვევ მიზეზებზე მომზადებული დასკვნების/ანალიზების განხილვა შემდგომი პრევენციის უზრუნველსაყოფად;
ბ) კონკრეტული სახის დარღვევების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების/წინადადებების შემუშავება; გ) განმეორებადი და სისტემური ხასიათის დარღვევების პრევენციისათვის რეკომენდაციების/წინადადებების შემუშავება. მხარეთა ინტერესების დაცვის საბჭოს ფუნქციებია: ა) მხარეთა ინტერესების დაცვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დარღვევების, შესაბამისი ანალიზისა და რეკომენდაციების განხილვა; ბ) საქმეების კოორდინაციის სამსახურის მიერ აღმოჩენილი, მხარეთა ინტერესების დარღვევების, შესაბამისი ანალიზისა და რეკომენდაციების განხილვა; გ) მხარეთა ინტერესების დაცვის სფეროში სტრუქტურულ ერთეულებს შორის წამოჭრილი სადავო საკითხების გადაჭრის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარისათვის წარსადგენად; დ) კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების მიზნით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის მიმართვა; ე) მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებისა და შედეგიანობის მონიტორინგი.

აღსრულების ეროვნული ბიურო მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით.

აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულებია: ა) შეფასების სამსახური; დ) მხარეთა ინტერესების დაცვის სამსახური; ვ) იურიდიული სამსახური; ზ) გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სამსახური; თ) გამარტივებული საქმისწარმოების სამსახური; ი) აღსრულების პოლიციის სამმართველო; კ) ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური; ლ) სერვისებისა და ბრენდის განვითარების ნ) ეკონომიკური სამსახური; ო) შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახური;

აღსრულების პოლიციის სამმართველოს ორგანიზაცია, სტრუქტურა, ფუნქციები, პასუხისმგებლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც მინისტრთან შეთანხმებით ამტკიცებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე; ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების სისტემას, დებულებებს და საშტატო ნუსხას განსაზღვრავს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე მინისტრთან შეთანხმებით.

მხარეთა ინტერესების დაცვის სამსახურის მიზანია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქმიანობის განხორციელებისას მხარეთა ან/და მესამე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევების შემთხვევების მინიმუმამდე შემცირება. სამსახურის ამოცანებია: ა) მხარეთა ინტერესების დაცვის სფეროში გამოვლენილი დარღვევის ფაქტების ანალიზი; ბ) გამოვლენილი დარღვევების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება; გ) მხარეთა ინტერესების დარღვევების პრევენცია. სამსახურის ფუნქციებია: ა) მხარეთა ინტერესების დარღვევის თაობაზე აღსრულების ეროვნულ ბიუროში შემოსული განცხადებების შესწავლა და რეაგირება სამსახურის წინაშე დასმული ამოცანებისა და მიზნების შესაბამისად; ბ) მხარეთა ინტერესების დარღვევების მიზეზების კვლევა და მათი განზოგადება შემდგომი პრევენციისათვის; გ) მხარეთა ინტერესების დარღვევის გამომწვევი მიზეზების დასადგენად ინფორმაციის მოძიება; დ) ინფორმაციის მოძიების მიზნით, მხარეებთან კომუნიკაცია; ე) მხარეთა ინტერესების დაცვის ხარისხის დადგენის მიზნით, საქმეების შერჩევით გაცნობა; ვ) შეხედულებისამებრ ან/და გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე, აღმასრულებლებთან ერთად სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებისას ადგილზე გასვლა, მათ შორის, მხარეებთან კომუნიკაციის ღონისძიებებსა და სააღსრულებო მოქმედებებზე დასწრება; ზ) გამოვლენილ შემთხვევებზე, რომლებშიც იკვეთება შიდა ინსპექტირების სამსახურის უფლებამოსილების სფეროში შემავალი დარღვევები, ინფორმაციის შიდა ინსპექტირების სამსახურისათვის გადაცემა; თ) მხარეთა ინტერესების დარღვევების ფაქტებსა და მათ მიზეზებზე სამსახურის დებულებით განსაზღვრული პერიოდულობით ანგარიშის მომზადება; ი) შემდგომი დარღვევების პრევენციის მიზნით, რეკომენდაციების შემუშავება მხარეთა ინტერესების დაცვის საბჭოზე წარსადგენად; კ) ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით

გათვალისწინებული იმ ფუნქციების განხორციელება, რაც დაკავშირებულია სამსახურის მიზანთან; თავმჯდომარის ან/და კურატორი მოადგილის დავალებების შესრულება. იურიდიული სამსახურის მიზანია აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის შესაძლო ზიანის პრევენცია და მისი კანონიერი ინტერესების დაცვა, აგრეთვე, აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების და მომხმარებლების მაღალი ხარისხის საკორესპონდენციო მომსახურება და ფაქტების კონსტატაციის სერვისის, როგორც სასამართლოში და მის მიღმა გარემოებების დამტკიცების ერთერთი ყველაზე სანდო და სასარგებლო საშუალების, პოპულარიზაცია, საქართველოს მასშტაბით ამ სერვისის მიწოდების კოორდინაცია და გაუმჯობესება; სამსახურის ამოცანებია: ა) სამსახურში შემოსულ კორესპონდენციაზე დროული და ადეკვატური რეაგირება; ბ) სასამართლოში აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლობა; გ) აღსრულების ეროვნული ბიუროს წინაშე მდგარ სამართლებრივ პრობლემებზე დროული რეაგირება; დ) სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით აღსრულების ეროვნული ბიუროს მიზნების განხორციელების უზრუნველყოფა; ე) დოკუმენტბრუნვის პროცესის მაღალი ხარისხით მართვა; ვ) საჯარო ინფორმაციის დროულად და სრულად მიწოდება, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება; ზ) ფაქტების კონსტატაციის ხარისხიანი უზრუნველყოფა. სამსახურის ფუნქციებია: ა) აღსრულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება და მათი სამინისტროსათვის განსახილველად წარდგენა; ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანებების პროექტების მომზადება; გ) არსებულ საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებსა და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებში შესატანი ცვლილებების შესახებ წინადადებების შემუშავება და მათი წარდგენა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის ან თანამდებობის პირისათვის; დ) აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი ხასიათის აქტების რევიზია და ვიზირება; ე) აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულებისათვის და ტერიტორიული ორგანოებისათვის, მათი მიმართვის საფუძველზე სამართლებრივი ხასიათის რეკომენდაციების მიცემა; ვ) ხელშეკრულებების, მემორანდუმების ასევე აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობისათვის აუცილებელი ნებისმიერი დოკუმენტის შექმნა (რომლის შექმნაც არ განეკუთვნება სხვა სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას) და მათი პერიოდული რევიზია, კანონმდებლობის ან/და პრაქტიკის შეცვლიდან გამომდინარე მათი შემდგომი დახვეწის მიზნით; ზ) საკანონმდებლო ცვლილებების მუდმივი მონიტორინგი, ცვლილებებზე დროული რეაგირება, ცვლილებების შესახებ მოკლე აღწერა/ანალიზის გაკეთება და ხელმძღვანელობისა და შესაბამისი სტრუქტურული

ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების დროული ინფორმირება; თ) აღსრულების ეროვნული ბიუროს ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლოში წარმომადგენლობა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს აღსრულების ეროვნული ბიუროს კონკრეტულ თანამშრომელს; მინდობილობის, სარჩელის, შესაგებლის, შუამდგომლობის და სხვა პროცესუალური აქტის პროექტის მომზადება; ი) აღმასრულებლის ქმედების თაობაზე საჩივრების განხილვა, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარისთვის შესაბამისი ბრძანების მომზადება; კ) საჩივრების, ასევე იმ განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება, რომლის განხილვაც საჭიროებს სამართლებრივ შეფასებას; ლ) კერძო აღმასრულებლების რეგისტრაცია, კერძო აღმასრულებელთა რეესტრის წარმოება, კერძო აღმასრულებელზე სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემა, გაუქმება და კანონით დადგენილი წესით ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება; მ) კორესპონდენციის მიღება, დარეგისტრირება, დახარისხება და ადრესატისათვის მიწოდება; ნ) ფაქტების კონსტატაციის, როგორც სერვისის პოპულარიზაცია და საქართველოს მასშტაბით მისი მიწოდების კოორდინაცია; ო) მისი კომპეტენციის სფეროში შემავალი განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება, ხოლო სხვა შემთხვევაში - შემოსული კორესპონდენციის ადრესატთან გადამისამართება; პ) კანცელარიის პროგრამაში არსებული ბლანკების სრულყოფა;ჟ) დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამაში ხელმოწერის დამუშავება; რ) მოთხოვნის შემთხვევაში, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამაზე კონსულტაციების გაწევა; ს) მოვალეთა რეესტრიდან ამონაწერის და შესაბამისი ცნობის გაცემა; ტ) ადრესატისთვის დოკუმენტების უშუალოდ მიწოდების ორგანიზება; უ) აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოებისა და კერძო აღმასრულებელების მიერ დასრულებული სააღსრულებო წარმოებების აღრიცხვა, დამუშავება და სათანადო წესით შენახვა (არქივირება); ფ) არქივში დაცული მასალების გაცნობისა და ასლების გაცემის უზრუნველყოფა; ქ) საიდუმლო საქმისწარმოების პროცესის წარმართვა და ორგანიზება; ღ) საჯარო ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად სამუშაოების ორგანიზება და შესაბამისი ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება (მათ შორის იმ საჯარო ინფორმაციისა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ექვემდებარება გამოქვეყნებას); ყ) ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული იმ ფუნქციების განხორციელება, რაც დაკავშირებულია სამსახურის მიზანთან; თავმჯდომარის ან/და კურატორი მოადგილის დავალებების შესრულება. სამსახურის სტრუქტურული დანაყოფებია: ა) სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ფაქტების კონსტატაციის განყოფილება; ბ) საქმისწარმოების განყოფილება. სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ფაქტების კონსტატაციის განყოფილება უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3

პუნქტის „ა“-„ნ“ და „ყ“ ქვეპუნქტებით (მისი საქმიანობის ფარგლებში) განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას. 6. საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ო“-„ღ“ და „ყ“ ქვეპუნქტებით (მისი საქმიანობის ფარგლებში) განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სამსახურის მიზანია გადახდისუუნარობის პროცესში მოვალისა და კრედიტორის ინტერესების თანაბრად დაცვის უზრუნველყოფა. სამსახურის ამოცანებია: ა) მოვალის მხარდაჭერა ფინანსური სიძნეელების გადაჭრაში, კანონით დადგენილი წესისა და პირობების დაცვით; ბ) კრედიტორთა მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება, კანონით დადგენილი წესისა და პირობების დაცვით; სამსახურის ფუნქციებია: ა)
„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მეურვეობის ფუნქციის განსახორციელება; ბ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მეურვეობის ფუნქციის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით მესამე პირებთან გარიგებების დადება და მესამე პირების მომსახურებით სარგებლობა; გ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით მოვალესთან და კრედიტორთან კომუნიკაციის წარმოება; დ) კანონით დადგენილ ფარგლებში სამეურვეო ქონების მოძიებისა და დაცვის ღონისძიებების განხორციელება; ე) სამეურვეო ქონების აუქციონზე რეალიზაციის უზრუნველყოფა ან/და ქონების ნატურით გადაცემა; ვ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გაკოტრების მმართველის ფუნქციის შესრულება; ზ) ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული იმ ფუნქციების განხორციელება, რაც დაკავშირებულია სამსახურის მიზანთან; თავმჯდომარის ან/და კურატორი მოადგილის დავალებების შესრულება.
გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურის მიზანია ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებულ საქმეებზე გამარტივებული წარმოების უზრუნველყოფა, სესხის ხელშეკრულების რეგისტრაცია და გადახდის ვალდებულების შესრულების კონტროლი; სამსახურის ამოცანებია: ა) ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავების მოწესრიგება; ბ) ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავების მოწესრიგების მეთოდების განვითარება; გ) სესხის ხელშეკრულების რეგისტრაცია და გადახდის ვალდებულების შესრულების კონტროლი; სამსახურის ფუნქციებია: ა) ფულადი დავალიანების გადახდევინების მოთხოვნებთან დაკავშირებით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული წარმოების განხორციელება; ბ) გამარტივებული

წარმოებიდან გამომდინარე, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებებისა და გადახდის ბრძანებების პროექტების მომზადება; გ) აპლიკანტის განცხადების და თანდართული დოკუმენტების შესწავლა, ხარვეზის დადგენა, განცხადების აპლიკანტისათვის დაბრუნება, რესპონდენტისათვის შეტყობინების ჩაბარება, მორიგების პირობების დამტკიცება, მორიგების შესრულების მონიტორინგი, ანგარიშსწორების განხორციელება; დ) რესპონდენტის დარეგისტრირებულ ქონებაზე ყადაღის დადება და გამარტივებული წარმოებისას ყადაღის გაუქმება კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით; ე) გამარტივებული წარმოების მხარეთათვის უფლებათა განმარტება და მორიგების ხელშეწყობა; ვ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსასრულებლად მიქცევა; ზ) დავების მოგვარების მეთოდების განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება და გატარება; თ) საქმიანობის სისწრაფისა და ეფექტიანობისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება და გატარება; ი) მხარეთა შეთანხმების საფუძველზე სესხის (მათ შორის, საბანკო კრედიტის) ხელშეკრულების რეგისტრაცია; კ) რეგისტრირებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მასში ცვლილებების შეტანა; ლ) რეგისტრირებული ხელშეკრულებების რეესტრის წარმოება; მ) რეგისტრირებული ხელშეკრულებების მხარეთა შორის მედიაცია და მორიგების ხელშეწყობა; ნ) აღსრულების შესახებ ბრძანების აღსასრულებლად მიქცევა; ო) აღსრულების შესახებ ბრძანების და რეგისტრირებული სესხის ხელშეკრულების კონტროლის განხორციელების საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებების პროექტების მომზადება; პ) ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული იმ ფუნქციების განხორციელება, რაც დაკავშირებულია სამსახურის მიზანთან და თავმჯდომარის ან/და კურატორი მოადგილის დავალებების შესრულება.

ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის მიზანია აღსრულების ეროვნული ბიუროს მაღალკვალიფიციური და მოტივირებული კადრებით უზრუნველყოფა. სამსახურის ამოცანებია: ა) კადრების დაკავებულ თანამდებობებთან (პოზიციებთან) შესაბამისობის უზრუნველყოფა; ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად თანამშრომლების მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური, თანამედროვეობის შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით; გ) თანამშრომლების მოტივაციისა და კმაყოფილების ზრდა; დ) თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოების სისტემის უზრუნველყოფა; ე) საუკეთესო თანამედროვე პრაქტიკის შესაბამისი შერჩევის, შეფასებისა და მოტივაციის სისტემების შექმნა/განვითარება. სამსახურის ფუნქციებია: ა) კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვა, შერჩევა/დაქირავების პროცესის ორგანიზება და მართვა ბიუროს მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად; ბ)

თანამშრომლების პირადი საქმეების ადმინისტრირება; გ) თანამშრომლების შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მართვა და სათანადო დოკუმენტური გაფორმება; დ) ჩატარებული კონკურსების შედეგად საუკეთესო კანდიდატთაგან საკადრო რეზერვის შექმნის, არსებული საკადრო ბაზის გაუმჯობესების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების ინიციირება და ორგანიზება; ე) სამუშაო აღწერილობების და საქმიანობის ინსტრუქციების მომზადება/განახლება; ვ) თანამშრომელთა ტრენინგების საჭიროების კვლევა, ტრენინგების გეგმის შედგენა, ხელმძღვანელობასთან შეთანხმება და მათი ჩატარების ორგანიზება; ზ) თანამშრომელთა შეფასებისა და ანგარიშგების სისტემების შემუშავება/დანერგვა/განახლება; თ) თანამშრომლების მატერიალური და არამატერიალური მოტივაციის სისტემების შემუშავება/განახლება; ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ი) თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასების სისტემის ორგანიზება; კ) თანამშრომლების საქმიანობასთან მათი შრომის ანაზღაურების სისტემის შესაბამისობის ანალიზი; ლ) თანამშრომელთა მიერ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით დასმული საკითხების განხილვა და შესაბამისი რეაგირება; მ) თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებისთვის ღონისძიებების ორგანიზება; ნ) თანამშრომელთა შორის შესაძლო კონფლიქტური სიტუაციების მართვა; ო) აღსრულების ეროვნული ბიუროს შრომის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, შრომითი დისციპლინის და სხვა მსგავსი შინაარსის დოკუმენტების შემუშავება/განახლება; პ) თანამშრომელთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა; ჟ) აღსრულების ეროვნული ბიუროს მმართველი საბჭოს ან/და განვითარების საბჭოს მიერ დადგენილი ფორმითა და პერიოდულობით ჩატარებული სამუშაოების შესახებ ანგარიშის მომზადება და წარდგენა; რ) ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული იმ ფუნქციების განხორციელება, რაც დაკავშირებულია სამსახურის მიზანთან; თავმჯდომარის ან/და კურატორი მოადგილის დავალებების შესრულება.

შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის მიზანია თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობისა და შრომითი დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა, აგრეთვე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სააღსრულებო საქმიანობის განხორციელებისას საქმეების წარმოებისა და დასრულების ვადების მინიმუმამდე შემცირება. სამსახურის ამოცანებია: ა) აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლების დისციპლინისა და საქმიანობის კანონშესაბამისობის შემოწმება და შესაბამისი დარღვევების გამოვლენა; ბ) აღმოჩენილ დარღვევებზე რეაგირება; გ) ინსპექტირებისა და კონტროლის მეთოდების განვითარება. დ) აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებულ სააღსრულებო საქმეებში გამოვლენილი ვადების დარღვევის

[11]გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება; ე) კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევის შესახებ გამოვლენილი ფაქტების ანალიზი; ვ) ვადების დარღვევების შემთხვევების პრევენცია. სამსახურის ფუნქციებია: ა) აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლების საქმიანობის კანონშესაბამისობის შემოწმება; ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლების მხრიდან კანონმდებლობის, ნორმატიული აქტებისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანებებისა და ნებისმიერი შიდა აქტის მოთხოვნათა დაცვის შემოწმება; გ) აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელთა დისციპლინის შემოწმება; დ) აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელთა მიერ საქმიანობის განხორციელებისას კანონის ან/და შესაბამისი ბრძანებების/ინსტრუქციების დარღვევის შესახებ სამსახურში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების განხილვა და შესაბამისი რეაგირება; ე) მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის შესაძლო ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის მომზადება და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარისათვის წარსდგენა; ვ) სამართალდამცავ ორგანოებთან, მათ შორის, სამინისტროს გენერალურ ინსპექციასთან თანამშრომლობა; ზ) გამოვლენილ დარღვევებზე პერიოდულად სტატისტიკის წარმოება და, მოთხოვნის შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარისათვის მიწოდება; თ) სააღსრულებო საქმეებში წარმოების ვადების დაცვისა და საქმეების მიმდინარეობის სტატუსების მონიტორინგი. ი) საქმეების გართულებულ საქმეთა კატეგორიაში გადასვლის წინაპირობების კვლევა და გამოკვეთილი მიზეზების აღმოფხვრის შესაძლებლობის დადგენა; კ) აღსრულების დამაბრკოლებელი ზოგადი და ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების ან ფორმალური მიზეზების კვლევა და ანალიზი, მათი შემდგომი აღმოფხვრის შესაძლებლობების დადგენის მიზნით; ლ) დარღვევის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებისა და პრევენციის მიზნით, ვადების დარღვევის ანალიზისათვის საჭირო სისტემის გამართვა, ანალიზის მეთოდებისა და მიდგომების ჩამოყალიბება/განახლება; მ) დარღვევის გამომწვევი მიზეზის დასადგენად ინფორმაციის მოძიება; ნ) ვადების დაცვის ხარისხის დადგენის მიზნით საქმეების შერჩევით გაცნობა; ო) ვადების დარღვევის გამოვლენილ მიზეზებსა და შემთხვევებზე პერიოდული ანგარიშის მომზადება, ასევე დარღვევების პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება შესაბამის საბჭოზე წარსადგენად; პ) ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული იმ ფუნქციების განხორციელება, რაც დაკავშირებულია სამსახურის მიზანთან. დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სამსახური უფლებამოსილია სტრუქტურული ერთეულებიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან გამოითხოვოს საჭირო

4. [11] სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, თბ., 1999

ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გამოკითხოს ცალკეული თანამშრომლები, მოითხოვოს მათგან ახსნა-განმარტებები, შეხვდეს და ურთიერთობა იქონიოს აღსრულების პროცესთან დაკავშირებულ მხარეებთან და მესამე პირებთან, გამოიყენოს კანონით ნებადართული სხვა საშუალებები, რაც ხელს შეუწყობს ფუნქციის ეფექტიანად განხორციელებას. შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახური უშუალოდ ექვემდებარება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს.

2.4. გენერალური ინსპექცია

გენერალური ინსპექცია არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი. გენერალური ინსპექციის ამოცანები და ფუნქციებია: იუსტიციის სამინისტროს სისტემაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების, დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი. სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება; სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება; სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საფინანსოსამეურნეო საქმიანობის შემოწმება, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე კონტროლის განხორციელება; კანონმდებლობით დადგენილი წესით წინასწარი გამოძიების ჩატარება სამინისტროს სისტემის მოსამსახურის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332ე-335-ე, 337-ე-342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში; მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და შეტყობინებების, აგრეთვე სხვა ნებისმიერი გზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძო აღმასრულებლის საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელება „კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის

პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის №140 ბრძანების შესაბამისად. [12]
გენერალური ინსპექცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით და სხვა საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის სამართლებრივი აქტებით, სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და მინისტრის ცალკეული დავალებებით.გენერალური ინსპექცია თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სამინისტროს.გენერალური ინსპექცია ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე, რომელიც წარმართავს გენერალური ინსპექციის საქმიანობას და ახორციელებს მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.გენერალური ინსპექციის საქმიანობა ეფუძნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, პატივისა და ღირსების დაცვის, კანონიერების, მიუკერძოებლობისა და საჯაროობის პრინციპებს. გენერალური ინპექციის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია: ა) სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი; ბ) სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა და კერძო აღმასრულებელთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;
გ) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და მინისტრისათვის წარდგენა; დ) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების

[12] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 მარტის ბრძანება №66-სსმIII, №40, 31.03.2009წ.

აღმოფხვრის მიზნით მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება; ე) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეების ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება; ვ) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე კონტროლის განხორციელება; ზ) სამინისტროს საქმიანობის საჯაროობის, გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა და მხარდაჭერა, კანონიერების დაცვის სფეროში საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება; თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოძიების ჩატარება სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332ე, 333-ე, 335-ე, 337-ე–342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში;

ი) მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და შეტყობინებების, აგრეთვე სხვა ნებისმიერი გზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძო აღმასრულებლის საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელება „კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის №140 ბრძანების შესაბამისად; კ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და მინისტრის შესაბამისი დავალების საფუძველზე ნოტარიუსის სამსახურებრივი საქმიანობის ზედამხედველობა. 1. დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია: ა) ჩაატაროს სამსახურებრივი შემოწმება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეების და კერძო აღმასრულებლების მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებული მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის, დისციპლინური გადაცდომისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ფაქტებზე; ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს და განიხილოს იურიდიულ და

ფიზიკურ პირთა, ადმინისტრაციულ ორგანოთა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა საჩივრები და განცხადებები; [13]

გ) თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურეს მიმართოს მოთხოვნით, წერილობით ან ზეპირი ფორმით მისთვის აუცილებელი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ადგილზე გაცნობისათვის პირობების შექმნის ან წარდგენის თაობაზე, აგრეთვე გენერალურ ინსპექციაში (ინსპექციის უფლებამოსილ მოსამსახურესთან) გამოცხადების ან/და ახსნა-განმარტების მიცემის თაობაზე; დ) სამსახურებრივი შემოწმების პროცესში მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურისაგან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია; დ[1]) ისარგებლოს სამინისტროს სისტემაში არსებული საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამებით და მონაცემთა ბაზებით;

ე) საჭიროებისამებრ, განსახილველი საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, გამოიძახოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნებისმიერი მოსამსახურე, მიიღოს მისგან ახსნა-განმარტება;

ვ) ჩამოართვას ახსნა-განმარტება ანდა მიიღოს ინფორმაცია იმ პირებისაგან, რომლებიც არ არიან სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეები, მხოლოდ ნებაყოფლობით საწყისებზე; ზ) სამსახურებრივი შემოწმების წარმოებისას, განსახილველ საკითხზე კონსულტაციებისა და საექსპერტო დასკვნების მოსაპოვებლად, მინისტრთან შეთანხმებით, მოითხოვოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურის ან მოწვეული სპეციალისტის მონაწილეობა, აგრეთვე ისარგებლოს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს დახმარებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით;

თ) მიღებული განცხადების, საჩივრის, შეტყობინებისა და ინფორმაციის, ასევე საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამების საშუალებით გამოვლენილი დარღვევების შესწავლაგადამოწმების მიზნით, კერძო აღმასრულებლისაგან მიიღოს ახსნა-განმარტება და მოთხოვნილი მასალები;

---

[13] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 მარტის ბრძანება №66-სსმIII, №40, 31.03.2009წ.

ი) წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად, მოამზადოს დასაბუთებული დასკვნა კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე და წარუდგინოს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - აღსრულების ეროვნულ სააგენტოს; კ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და მინისტრის შესაბამისი დავალების საფუძველზე ზედამხედველობა გაუწიოს ნოტარიუსის საქმიანობას; ლ) სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით მინისტრს წარუდგინოს წინადადება გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების შესახებ; მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიმართოს დაწესებულების ხელმძღვანელს, აგრეთვე დაწესებულების სისტემის ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს რეკომენდაციით შესაბამისი დაწესებულების, ორგანოს საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის შესახებ; ნ) სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის მიზნით შეისწავლოს და გააანალიზოს მის მიერ განხორციელებული შემოწმების პროცესში მოპოვებული მასალები და მინისტრს წარუდგინოს სათანადო რეკომენდაციები;
ო) წარმოებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, გარდა ამ დებულების მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, მოპოვებული მასალები, მინისტრთან შეთანხმებით, დადგენილი წესით, გადაუგზავნოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს; პ) თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში გენერალური ინსპექციის მოსამსახურეები საშვგამტარი ან სხვა შემზღუდავი რეჟიმის გვერდის ავლით დაუყოვნებლივ შევიდნენ სამინისტროს და მის მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადმინისტრაციულ და სამსახურებრივ შენობებში; ჟ) განახორციელოს მონიტორინგი სამინისტროსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადმინისტრაციულ და სამსახურებრივ შენობებში არსებულ ელექტრონული პირადობის მოწმობის წამკითხველებზე დაფიქსირებულ მონაცემებსა და სათვალთვალო ვიდეოკამერების მიერ დაფიქსირებულ ვიდეოჩანაწერებზე, რომელთა შენახვის ვადა განისაზღვრება მათი ფიქსაციიდან 2 თვემდე ვადით; რ) ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან; ს) განახორციელოს ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები. შემოწმების პერიოდში გენერალური ინსპექციის კანონშესაბამისი მოთხოვნა, მითითება ან დავალება სავალდებულოა

შესასრულებლად და მისი გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით.გენერალური ინსპექცია ვალდებულია:
ა) წინასწარ განუმარტოს პირს მისი უფლება უარი თქვას ახსნა-განმარტების მიცემაზე;
ბ) ჩაატაროს მოსამსახურეთა საქმიანობის სამსახურებრივი შემოწმება კანონით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით; გ) უზრუნველყოს მოქალაქეებთან მუდმივი, პირდაპირი საინფორმაციო კავშირი და განიხილოს შემოსული შეტყობინებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
დ) აწარმოოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეების მიერ დისციპლინისა და კანონიერების დარღვევის შემთხვევების სტატისტიკა, რეგულარულად მოახდინოს მისი კომპლექსური და თემატური ანალიზი, მოამზადოს სათანადო რეკომენდაციები სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად; ე) სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში კანონიერების დარღვევისა და სხვა არამართლზომიერი ქმედებების აღმოფხვრისაკენ მიმართული კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებაში; ვ) წელიწადში ორჯერ წარუდგინოს მინისტრს განზოგადებული ანგარიში გაწეული საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ; ზ) უზრუნველყოს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების, მთავრობის დადგენილებების, პრემიერ-მინისტრის ბრძანებებისა და სამინისტროს ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა განუხრელ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;
თ) შეასრულოს ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოვალეობები. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე გენერალური ინსპექცია ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას. სამსახურებრივი შემოწმების ვადის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. გამონაკლის შემთხვევებში, გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 3 თვემდე. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ვალდებულია მის დაქვემდებარებაში მყოფი მოსამსახურის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისა და კანონდარღვევის ფაქტების შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს გენერალურ ინსპექციას. გენერალური ინსპექციისათვის

ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიუწოდებლობა, თუ ეს ინფორმაცია მისთვის ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, იწვევს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამსახურებრივი შემოწმების საფუძველი შეიძლება იყოს ცნობები სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფისა ან სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ან დისციპლინური გადაცდომის შესახებ, მათ შორის, მოქალაქეთა წერილობითი საჩივრები, სასამართლოს (მოსამართლის) კერძო განჩინებები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიღებული შეტყობინებები და მასალები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნებული ინფორმაცია, „ცხელი ხაზით“ შემოსული შეტყობინებები, გენერალური ინსპექციის საქმიანობის პროცესში გამორკვეული ფაქტები, გეგმური შემოწმების გრაფიკი და საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამების შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევები.სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს გენერალური ინსპექციის უფროსი. გენერალური ინსპექციის მოთხოვნა არ უნდა ზღუდავდეს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. გენერალური ინსპექციის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს შემსრულებლის ვინაობა და მისი შესრულების გონივრული ვადა. გენერალური ინსპექციის მოთხოვნა სამინისტროს მოსამსახურის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს მინისტრთან. მოთხოვნის გასაჩივრება არ ათავისუფლებს პირს ამ მოთხოვნის დადგენილ ვადაში შესრულების ვალდებულებისაგან, თუ მინისტრი არ მიიღებს ამგვარ გადაწყვეტილებას. გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები დადგენილი წესით აღირიცხება და ინახება გენერალურ ინსპექციაში. აღნიშნული მასალების შენახვა და არქივისათვის გადაცემა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. გენერალურ ინსპექციაში არსებული მასალებისა და დოკუმენტაციის გაცნობისა და ასლების მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. პერსონალური მონაცემებისა და სხვა სახის საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის ან მისი ნაწილის გაცნობა ხდება კანონით დადგენილი წესით. სამსახურებრივი შემოწმების მიმდინარეობისას, საქმის წარმოების პროცესში შედგენილი და საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოთხოვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენერალური ინსპექცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებამოსილ თანამდებობის პირს მიმართავს წარდგინებით კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების, მათი გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრის თაობაზე. ამ პუნქტით

გათვალისწინებული წარდგინების შესრულება სავალდებულოა. გენერალური ინსპექცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, მინისტრს მიმართავს წარდგინებით სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. გენერალური ინსპექცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით უფლებამოსილია, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს წარუდგინოს მოთხოვნა დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების შესახებ. გენერალური ინსპექციის მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა. გენერალური ინსპექციის მიერ სახელმწიფო, პირადი ან კომერციული საიდუმლოებების შემცველი ინფორმაციის გამოთხოვა, მიღება და გაცნობა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. გენერალური ინსპექციის მოსამსახურე არ მონაწილეობს გენერალურ ინსპექციაში შემოსული ცნობებისა და შეტყობინებების განხილვაში, აგრეთვე შემოწმების წარმოებაში, თუ შემოწმების ობიექტი არის მის ნათესავი ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც იძლევა ვარაუდის საფუძველს ამ მოსამსახურის დაინტერესებაში შემოწმების შედეგებისადმი. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას გენერალური ინსპექციის მოსამსახურე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილების შესახებ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებას, თუ არ არის სახეზე სხვა, უფრო მძიმე კატეგორიის სამართალდარღვევის ნიშნები. გენერალური ინსპექციის მოსამსახურის აცილების საკითხს წყვეტს გენერალური ინსპექციის უფროსი. გენერალური ინსპექციის უფროსის აცილების საკითხს წყვეტს მინისტრი. გენერალურ ინსპექციაში სტრუქტურული ერთეულების სახით შედის:ა) საგამოძიებო სამმართველო;ბ) სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო;

გ) საფინანსო-სარევიზიო სამმართველო; დ) ოპერატიული სამმართველო.. საგამოძიებო სამმართველო უზრუნველყოფს გამოძიების ჩატარებას სამინისტროს სტრუქტურული ერთეულისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 333-ე, 335-ე, 337-ე–342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში. 2. სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო, ამ დებულებით განსაზღვრულ ამოცანათა შესრულების მიზნით, უზრუნველყოფს:

ა) ამ დებულებით დადგენილი წესით სამინისტროს სტრუქტურული ერთეულისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის

მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას;
ბ) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დაცვაზე ზედამხედველობას; გ) მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების შესწავლასა და მათზე სათანადო რეაგირებას; დ) სამსახურებრივი შემოწმების სამუშაო გეგმის შემუშავებას. ე) წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად, დასაბუთებული დასკვნის მომზადებას კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე; ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ზედამხედველობის განხორციელებას ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობაზე; ზ) ნოტარიუსის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საქმის აღძვრის თაობაზე მასალების მომზადებას; თ) მონიტორინგის განხორციელებას სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადმინისტრაციულ შენობებში არსებულ ელექტრონული პირადობის მოწმობის წამკითხველებზე დაფიქსირებულ მონაცემებსა და სათვალთვალო ვიდეოკამერების მიერ დაფიქსირებულ ვიდეოჩანაწერებზე. 3. საფინანსოსარევიზიო სამმართველო, ამ დებულებით განსაზღვრულ ამოცანათა შესრულების მიზნით, უზრუნველყოფს:
ა) სამინისტროსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიერ ფინანსების მიზნობრივი განკარგვის, მატერიალურ ფასეულობათა და სხვა საშუალებების დაცვის და მათი ეფექტური გამოყენების მიზნით საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსურ და თემატურ შემოწმებას; ბ) სამინისტროსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების კონტროლს. ოპერატიული სამმართველო ამ დებულებით განსაზღვრულ ამოცანათა შესრულების მიზნით ახორციელებს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს ოპერატიული საქმიანობის მხარდაჭერას; ასრულებს გენერალური ინსპექციის უფროსის და უფროსის მოადგილის ცალკეულ დავალებებს.გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელობა და მოსამსახურეები გენერალურ ინსპექციას ხელმძღვანელობს გენერალური ინსპექციის უფროსი. გენერალური ინსპექციის უფროსს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. გენერალური ინსპექციის უფროსი ანგარიშვალდებულია უშუალოდ მინისტრის წინაშე. გენერალური ინსპექციის უფროსი: ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს გენერალური ინსპექციის საქმიანობას; ბ) წარმოადგენს გენერალურ ინსპექციას დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და

პასუხისმგებელია გენერალურ ინსპექციაზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე; გ) მინისტრს წარუდგენს კანდიდატურებს გენერალური ინსპექციის ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნად;

დ) ანაწილებს მოვალეობებს გენერალური ინსპექციის მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ მითითებებს და დავალებებს; ე) ზედამხედველობს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა სამსახურებრივ შემოწმებას; მინისტრთან შეთანხმებით აჩერებს ან წყვეტს სამსახურებრივ შემოწმებას; ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს გენერალური ინსპექციის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ზ) შეიმუშავებს და მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს წლის განმავლობაში გეგმურ შემოწმებათა გრაფიკს; თ) ხელს აწერს გენერალური ინსპექციის მოთხოვნას, წარდგინებას, რეკომენდაციას და დასკვნას; ი) აკონტროლებს გენერალური ინსპექციის მოსამსახურეების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას; კ) პერიოდულად ისმენს გენერალურ ინსპექციაში შემავალ მოსამსახურეთა ანგარიშს მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ; ლ) შუამდგომლობს გენერალური ინსპექციისათვის იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რაც აუცილებელია გენერალური ინსპექციის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად; მ) შუამდგომლობს გენერალური ინსპექციის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესახებ; ნ) წარუდგენს მინისტრს წინადადებებს გენერალური ინსპექციის სტრუქტურის, საშტატო განრიგის, მუშაობის ორგანიზაციის, გენერალური ინსპექციის მოხელეების წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ო) წარუდგენს მინისტრს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით; პ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. გენერალური ინსპექციის უფროსი წელიწადში ორჯერ – არა უგვიანეს 15 ივლისისა და 15 იანვრისა, მინისტრს წარუდგენს გასული ექვსი თვის განმავლობაში გენერალური ინსპექციის მიერ გაწეული საქმიანობის შემაჯამებელ ანგარიშს.

გენერალური ინსპექციის უფროსის ანგარიში უნდა შეიცავდეს: ა) განზოგადებულ სტატისტიკურ მონაცემებს, კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების უზრუნველსაყოფად განხორციელებული საქმიანობის შესახებ, მათ შორის, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების თაობაზე; ბ) განზოგადებულ მონაცემებს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში გამოვლენილი მნიშვნელოვანი პრობლემების,

მოსამსახურეების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების, მათ შორის, კორუფციის ფაქტების თაობაზე;
გ) ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში გენერალური ინსპექციის მიერ გაწეული რეკომენდაციებისა და წარდგინებების თაობაზე, სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების თვალსაზრისით; დ) ინფორმაციას გაწეულ რეკომენდაციებსა და წარდგინებებზე განხორციელებული რეაგირების თაობაზე, აგრეთვე მონაცემებს სათანადო რეაგირების გარეშე დარჩენილი წინადადებებისა და გაუთვალისწინებელი რეკომენდაციების თაობაზე; ე) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემულ საქმეთა ჩამონათვალს, აგრეთვე ინფორმაციას ამ საქმეების შემდგომი მსვლელობის თაობაზე; ვ) ინფორმაციას საანგარიშო წლის განმავლობაში გამოვლენილი დარღვევების შედეგად სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მხრიდან სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ოდენობის, კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლოსათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართვის შემთხვევებისა და მიღწეული შედეგების თაობაზე. გენერალური ინსპექციის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე: ა) ხელს უწყობს გენერალური ინსპექციის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;
ბ) ზედამხედველობს გენერალური ინსპექციის მოხელეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას; გ) ახდენს ჩატარებული შემოწმების შედეგების წინასწარ განხილვას, ვიზირებას უკეთებს ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე შედგენილ დასკვნას, გენერალური ინსპექციის უფროსისა და მინისტრის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოვალეობებს.

გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გენერალურ ინსპექციაზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია გენერალური ინსპექციის უფროსისა და მინისტრის წინაშე. გენერალური ინსპექციის უფროსის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე. გენერალურ ინსპექციაში სამმართველოს სახით შემავალ სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი. სამმართველოს უფროსს კანონმდებლობით

დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.
სამმართველოს უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს სამმართველოს საქმიანობას; ბ) იხილავს სამმართველოში შემოსულ დოკუმენტაციას და ინფორმაციას, მონაწილეობს მათ განხილვაში; გ) ამზადებს და გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილესთან შეთანხმებით განსახილველად წარუდგენს გენერალური ინსპექციის უფროსს წინადადებებს ჩასატარებელი შემოწმების შესახებ; დ) ანაწილებს დავალებებს სამმართველოს მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;
ე) ახორციელებს კონტროლს გენერალური ინსპექციის მოხელეების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე; ვ) ეცნობა სამმართველოს მოსამსახურეთა მიერ წარმოდგენილ დასკვნას ან მოხსენებით ბარათს, აკეთებს ვიზირებას და გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილესთან შეთანხმებით წარუდგენს გენერალური ინსპექციის უფროსს;
ზ) ვიზირებას უკეთებს სამმართველოში მომზადებულ დოკუმენტებს; თ) აკონტროლებს შემოწმებების მიმდინარეობის მდგომარეობას და კვირაში ერთხელ გენერალური ინსპექციის უფროსს მოახსენებს შემოწმებების მიმდინარეობის მდგომარეობის შესახებ; ი) ყოველთვიურად, გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილესთან შეთანხმებით, გენერალური ინსპექციის უფროსს წარუდგენს ანგარიშს სამმართველოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ; კ) გენერალური ინსპექციის უფროსს წარუდგენს წინადადებებს სამმართველოს მუშაობის ორგანიზაციის, სამმართველოს მოსამსახურეებისათვის პრემიის დანიშვნის, მათი წახალისების, მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ; ლ) გენერალური ინსპექციის უფროსს წარუდგენს წინადადებებს იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის თაობაზე, რომელიც საჭიროა სამმართველოზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
მ) გენერალური ინსპექციის უფროსთან შუამდგომლობს სამმართველოს მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ; ნ) შემოწმების პერიოდში სამმართველოს უფროსის კანონიერი მოთხოვნა, მითითება ან დავალება სავალდებულოა შესასრულებლად შესამოწმებელი ქვედანაყოფის ხელმძღვანელისათვის და მისი გასაჩივრება შეიძლება გენერალური ინსპექციის უფროსთან; ო) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი 3. კერძო აღსრულება

3.1 კერძო აღმასრულებელი

კერძო აღმასრულებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას – სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. სავალდებულოა კერძო აღმასრულებელს ჰქონდეს სამუშაო ადგილი (ოფისი, ბიურო) და საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში. მას უფლება აქვს, სამუშაოზე აიყვანოს და სამუშაოდან გაათავისუფლოს მუშაკი საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად და განკარგოს სააღსრულებო საქმიანობის განხორციელებისათვის მიღებული საზღაური. ორ ან ორზე მეტ კერძო აღმასრულებელს შეიძლება ჰქონდეს საერთო სამუშაო ადგილი (ოფისი, ბიურო). კერძო აღმასრულებელთა უფლება-მოვალეობანი საერთო სამუშაო ადგილის მიმართ განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში თითოეული კერძო აღმასრულებელი სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს საკუთარი სახელით და პირადად აგებს პასუხს თავისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის. კერძო აღმასრულებელს უფლება აქვს, სააღსრულებო საქმიანობის ორგანიზების მიზნით გაერთიანდეს სხვა კერძო აღმასრულებელთან, ადვოკატთან ან/და აუდიტორთან, ამხანაგობის ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით, გარდა სააქციო საზოგადოებისა, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ასეთ გაერთიანებაში უნდა მონაწილეობდეს ერთი ნოტარიუსი მაინც. ამ თავის მიზნებისათვის სააღსრულებო საქმიანობად აგრეთვე მიიჩნევა დაინტერესებული პირებისათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა აღსრულების საკითხებთან დაკავშირებით. კერძო აღმასრულებელთა

რეესტრს აწარმოებს აღსრულების ეროვნული ბიურო. კერძო აღმასრულებელი ახორციელებს ამ კანონის მე-2 მუხლის „ა“, „გ“, „ე“ და „ლ“–„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქტების (გადაწყვეტილებების) აღსრულებას ამავე კანონით დადგენილი წესით. კერძო აღმასრულებლის მიერ აღსრულება ხორციელდება კრედიტორის მიმართვისა და

კერძო აღმასრულებელი აღსრულებას ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღსრულები ს მხარეები არიან ფიზიკური პირები ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირები და თუ სააღ სრულებო დოკუმენტისმიხედვით წარმოდგენილი აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნა არ აღ ემატება 500 000 ლარს. კერძო აღმასრულებლის მიერ ამ კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.გ“ ეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას კრედიტორის მოთხოვნის და აღსრულების საზღაურის ამოღების უზრუნველსაყოფად მოვალის საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალებების წარდგენა ხდება ცალ-ცალკე.

კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით საჯარო შეტყობინების აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით. მიმართვა შესაძლებელია განხორციელდეს მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კერძო აღმასრულებლისათვის აღნიშნული მომსახურების საფასური დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

კერძო აღმასრულებელი ყადაღადადებული ქონების საჯარო აუქციონზე რეალიზაციის მიზნით: ა) კრედიტორის შესაბამისი განცხადების საფუძველზე დამოუკიდებლად ახორციელებს ამ კანონით დადგენილ აუქციონის მოსამზადებელ პროცედურებს; ბ) მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადით, წარუდგენს მას სააუქციონო დოკუმენტაციის (სააღსრულებო წარმოების შესაბამისი მასალების) თავის მიერ დამოწმებულ ასლებს და აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეაქვს სააუქციონო მომსახურების დადგენილი საფასური, რომლის ოდენობაც განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადის მართვის ავტომატური საშუალებებით წარდგენის შემთხვევაში სააღსრულებო წარმოების მასალები დამოწმებას არ საჭიროებს; გ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს განმეორებითი და ხელახალი აუქციონების მომზადებას ამ მუხლით გათვალისწინებული წესით. კერძო აღმასრულებელი პასუხისმგებელია წარდგენილი სააუქციონო დოკუმენტაციის ფაქტობრივი მონაცემების სისწორეზე. სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად მიღებისას და მისი კრედიტორისათვის დაბრუნებისას სააღსრულებო ფურცელს ბოლოში უნდა დაემატოს კერძო აღმასრულებლის ხელმოწერა, თარიღი და სამსახურებრივი ბეჭედი. აღსრულების ეროვნული

ბიურო ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კერძო აღმასრულებლის სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აკმაყოფილებს განაცხადს ან უარს ამბობს მის დაკმაყოფილებაზე. აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მისთვის წარდგენილი სააუქციონო დოკუმენტაციის ამ კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ან/და სააუქციონო მომსახურების საფასურის გადაუხდელობის საფუძვლით კერძო აღმასრულებელს განაცხადის მიღებისას დაუდგინოს ხარვეზი. კერძო აღმასრულებლისათვის ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კერძო აღმასრულებლისათვის დადგენილი ხარვეზის გამოსწორების ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო უარს ეუბნება კერძო აღმასრულებელს სააუქციონო მომსახურების გაწევაზე. კერძო აღმასრულებელს უბრუნდება მის მიერ გადახდილი სააუქციონო მომსახურების საფასურის ნახევარი. კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია იმ გარემოებათა აღმოფხვრისას, რომლებიც საფუძვლად დაედო აღსრულების ეროვნული ბიუროს უარს, მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ ახალი განაცხადით. კერძო აღმასრულებლის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის სააუქციონო დოკუმენტაციის განმეორებით წარდგენისას იგი სრულად იხდის სააუქციონო მომსახურების საფასურს. განაცხადის დაკმაყოფილებაზე აღსრულების ეროვნული ბიუროს უარი კერძო აღმასრულებელმა შეიძლება გაასაჩივროს სასამართლოში მისი შეტყობიდან 1 თვის ვადაში. კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია პირველი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე გაითხოვოს განაცხადი. ამ შემთხვევაში მას უბრუნდება მის მიერ გადახდილი სააუქციონო მომსახურების საფასურის ნახევარი. სააუქციონო მომსახურება გულისხმობს: ა) აუქციონის შესახებ საჯარო ინფორმაციის დადგენილი წესით განთავსებას; ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აუქციონების ჩატარებას; გ) პირველი აუქციონის ამ მუხლით დადგენილი განაცხადის დაკმაყოფილებიდან ერთი თვის ვადაში ჩატარებას; დ) აუქციონზე ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხის, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე, ამავე კანონით დადგენილი წესით განაწილებას. აღსრულების ეროვნული ბიურო პასუხისმგებელია მხოლოდ აუქციონის ჩატარების დღეს განხორციელებული, ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცედურის ამ კანონთან შესაბამისობისთვის. ყველა სხვა მოსამზადებელ თუ აუქციონისშემდგომ მოქმედებას ახორციელებს კერძო აღმასრულებელი საკუთარი პასუხისმგებლობით. სააუქციონო მომსახურების გაწევისას კერძო აღმასრულებელი ვალდებულია აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაუყოვნებლივ აცნობოს კრედიტორის მიერ

აღსრულების შეჩერებისა და განახლების თაობაზე. თუ კერძო აღმასრულებლის წარმოებაში არსებულ საქმეზე კრედიტორის განცხადების საფუძველზე შეჩერებული აღსრულება არ განახლდება შეჩერებიდან 3 თვის განმავლობაში, სააუქციონო მომსახურება წყდება, ხოლო კერძო აღმასრულებელს უბრუნდება მის მიერ გადახდილი სააუქციონო მომსახურების საფასურის ნახევარი. კერძო აღმასრულებლის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის სააუქციონო დოკუმენტაციის განმეორებით წარდგენისას იგი სრულად იხდის სააუქციონო მომსახურების საფასურს. კერძო აღმასრულებელზე სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიას გასცემს აღსრულების ეროვნული ბიურო. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა ამ თავითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ფიზიკური პირი, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ა) იყოს ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე; ბ) ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება; გ) ჩაბარებული ჰქონდეს აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდა ან მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით; დ) ჰქონდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აღჭურვილი სამუშაო ადგილი. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია არ გაიცემა იმ ფიზიკურ პირზე: ა) რომელიც არ აკმაყოფილებს უნქტით გათვალისწინებულმოთხოვნებს; ბ) რომელიც ნასამართლევია განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ან რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე; გ) რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმე განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე შეწყდა ხანდაზმულობის ან ამნისტიის გამო; დ) რომელიც განთავისუფლებულია საჯარო სამსახურიდან ან ნოტარიუსის თანამდებობიდან ანდა რომელსაც შეუწყდა ადვოკატთა ასოციაციის წევრობა დისციპლინური გადაცდომის, კანონის უხეში ან/და არაერთგზის დარღვევის, თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენების ან კორუფციული სამართალდარღვევის გამო; ე) რომლის საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად; ვ) რომელსაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გაუუქმა სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია, გარდა ამ კანონის 14 14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა; ზ) რომელიც მოქმედი ნოტარიუსი, ადვოკატი, აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირი ან აღსრულების ეროვნული ბიუროს სტაჟიორია; თ) რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამოერთვა სააღსრულებო საქმიანობის უფლება; ი) რომელსაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გაუუქმა სააღსრულებო საქმიანობის

გათვალისწინებული საფუძვლით და ლიცენზიის გაუქმებიდან არ გასულა 1 წელი. კერძო აღმასრულებელი არ შეიძლება იყოს არბიტრაჟის წევრი. ფიზიკური პირი სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად განცხადებით მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომელიც 5 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. განცხადებას, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დოკუმენტებისა, გათვალისწინებული გარემოებების არარსებობას; გ) სამუშაო ადგილის მისამართი და საჯარო რეესტრიდან ამონაწერი იმ უძრავი ქონების საკუთრების თაობაზე, სადაც უნდა განთავსდეს კერძო აღმასრულებლის სამუშაო ადგილი, ან ამ უძრავი ქონების მესაკუთრის თანხმობა სააღსრულებო საქმიანობის განხორციელებაზე. სამუშაო ადგილის შეცვლის შემთხვევაში კერძო აღმასრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის თაობაზე აღსრულების ეროვნულ ბიუროს და წარუდგინოს მას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კერძო აღმასრულებელი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს: ა) სამსახურებრივ ბეჭედს (რომელზედაც აღინიშნება კერძო აღმასრულებლის სახელი და გვარი და კერძო აღმასრულებლის სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის ნომერი) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებულ ხელმოწერის ნიმუშს; ბ) ბანკში საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშის გახსნის დამადასტურებელ დოკუმენტს და ამ ანგარიშის ნომერს; გ) სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს; დაზღვევის ოდენობასა და პირობებს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის წარდგენის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ახორციელებს კერძო აღმასრულებლის რეგისტრაციას კერძო აღმასრულებელთა რეესტრში, რის შემდეგაც კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია დაიწყოს სააღსრულებო საქმიანობა. კერძო აღმასრულებელთა რეესტრის ფორმასა და წარმოების წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. კერძო აღმასრულებელი ვალდებულია წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 თებერვლამდე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგინოს სტატისტიკური ინფორმაცია თავის წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეების შესახებ. ალიცენზიო პირობის დარღვევის შემთხვევაში კერძო აღმასრულებელს შეუჩერდება სააღსრულებო საქმიანობის უფლება სალიცენზიო პირობის დარღვევის აღმოფხვრამდე. კერძო აღმასრულებელმა გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, უნდა უზრუნველყოს. კერძო აღმასრულებლის ბრალდებულად სისხლის

სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მას შეუჩერდება სააღსრულებო საქმიანობის უფლება.

პროცესის მწარმოებელი ორგანო/პირი კერძო აღმასრულებლის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, აცნობოს ამის თაობაზე აღსრულების ეროვნულ ბიუროს. კერძო აღმასრულებლისათვის სააღსრულებო საქმიანობის უფლების შეჩერების თაობაზე შესაბამისი ჩანაწერი აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეაქვს კერძო აღმასრულებელთა რეესტრში. თუ აღმოიფხვრა კერძო აღმასრულებლისათვის სააღსრულებო საქმიანობის უფლების შეჩერების საფუძვლები, აღსრულების ეროვნული ბიურო აუქმებს შესაბამის ჩანაწერს, რის შემდეგაც კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია გააგრძელოს სააღსრულებო საქმიანობა. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების ა) კერძო აღმასრულებლის წერილობითი განცხადება თავისი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, რომელიც წარედგინება აღსრულების ეროვნულ ბიუროს; ბ) კერძო აღმასრულებლის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ მისი შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; გ) გათვალისწინებული მოთხოვნების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა; დ) კერძო აღმასრულებლის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ან კერძო აღმასრულებლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ხანდაზმულობის ან ამნისტიის გამო; ე) კერძო საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა; ვ) კერძო აღმასრულებლისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით სააღსრულებო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; ზ) ამ კანონით და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემატურად დარღვევა, რაც არსებით ზიანს აყენებს კერძო ან საჯარო ინტერესებს; თ) კერძო აღმასრულებლისათვის შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება; წარმოების მხარეების წინაშე მის მიერ მიყენებული ზიანისათვის. კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა გათვალისწინებული დარღვევებისათვის კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. 3. კერძო აღმასრულებელი ვალდებულია სააღსრულებო საქმის წარმოება განახორციელოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული პირობებითა და ფორმით. კერძო აღმასრულებელი სააღსრულებო საქმიანობისათვის, აგრეთვე ამ საქმიანობასთან დაკავშირებული იურიდიული კონსულტაციისა და ტექნიკური სამუშაოსათვის იღებს საზღაურს, რომლის ოდენობა, გადახდის წესი და პირობები განისაზღვრება

დაინტერესებულ მხარესთან დადებული ხელშეკრულებით. კრედიტორის მიერ გადახდილი ან გადასახდელი საზღაურის გადახდა ეკისრება მოვალეს და იგი ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. არ შეიძლება მოვალეს დაეკისროს საზღაურის გადახდა ამ კანონის 38-ე მუხლით დადგენილი აღსრულების საფასურის ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით. სააღსრულებო ბიუროს მიერ კერძო აღმასრულებლისათვის საუქციონო მომსახურების გაწევის შედეგად ამოღებული თანხებიდან: ა) კრედიტორის მიერ გადახდილი საზღაური ამ კანონის ე მუხლით დადგენილი აღსრულების საფასურის ზღვრული ოდენობის ფარგლებში, ამოღებული მოთხოვნის პროპორციულობით გადაერიცხება კრედიტორს. კრედიტორს ასევე გადაერიცხება ამოღებული მოთხოვნა; ბ) კრედიტორის მიერ გადასახდელი საზღაური ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ზღვრული ოდენობის ფარგლებში, ამოღებული მოთხოვნის პროპორციულობით გადაერიცხება კერძო აღმასრულებელს. კერძო აღმასრულებლის აცილება დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით.კერძო აღმასრულებლის აცილების საკითხს მოვალის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე წყვეტს ის სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც მიმდინარეობს აღსრულება.

ყოველდღიური ცხოვრებისეული მაგალითები ცხადყოფს, რომ ვალდებულებითი ამართალურთიერთობა, გამოხატული კერძო სახელშეკრულებო სამართალურთ- იერთობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს. კერძო სახელშეკრულებო სამართალურთიერთობის, როგორც საზოგადო-ებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფენომენის, იურიდიული ფაქტისა და სამართლებრივი შედეგის აქტუალურობა საინტერესოს ხდის როგორც მისი წარმოშობისა და შეცვლის, ასევე მისი ლოგიკური შედეგის _ შეწყვეტის _ სამართლებრივი თუ ფაქტობრივი საფუძვლების გარკვევას. სესხთან დაკავშირებული ისეთი ვალდებულებითი სამართალურთიერთობის დროსაც კი, რომლის მონაწილესთვის (მსესხებლისთვის) სავსებით გასაგებია, რომ მან ნასესხები ფული გამსესხებელს უნდა დაუბრუნოს, საკმარისია, მის მიმართ უბრალოდ გაჟღერდეს გამსესხებლის მოთხოვნა, გამოხატული სიტყვაში _ „დამი- ბრუნე!“, რომ მთელი რიგი შემხვედრი კითხვებისა დაისვას: „რა დაბრუნდეს?“, „ვის დაუბრუნდეს?“, „ვისგან დაბრუნდეს?“, „როდის დაბრუნდეს?“, „სად დაბრუნდეს?“, „რა სახითა და ფორმით დაბრუნდეს?“, ... მათ შორის ხშირ შემთხვევაში დაისმე- ბა შემდეგნაირი კითხვებიც: „და, შეიძლება რომ არ დაბრუნდეს?“ ან „რა მოხდება, რომ არ დაბრუნდეს?“ ან „აღნიშნული თანხის დაბრუნების ნაცვლად სხვა რამე რომ შესრულდეს?“ აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის მოძიება სახელშეკრულებო ვალ- დებულებითი ურთიერთობების შეწყვეტასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმების მეშვეობით არის

შესაძლებელი[14]. უმეტეს შემთხვევაში, მხარეთა მიერ ხელშეკრულებების დადების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპასუხო შესრულებათა მიღება. მაგალითად, მყიდველისთვის მნიშვნელოვანია ნაყიდი ნივთის მიღება. გამყიდველისთვის კი _ მისთვის შეთანხმებული საფასურის გადახდა, შემ- კვეთისთვის _ მენარდისაგან შესაბამისი ნაკეთობის დამზადება და მიწოდება და ა.შ. ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობა ორიენტირებულია საპასუხო შესრულე- ბათა გაწევაზე, რასაც, იდეალურ შემთხვევაში, შედეგად მოჰყვება სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა. ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი „ვალდე-ბულების ძალით, კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შეს- რულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც (316 I)“ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მოვალესა და კრედიტორს შორის აღმოცენებული მოთხოვნითი ხასიათის ურთიერთობასთან ერ- თად; ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ კონკრეტული მოქმედების შესრულებაზე ორიენტირებული ურთიერთობა, არამედ _ მთლიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა.ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს რამდენიმე სახის ვალდე-ბულების შესრულებას. თითოეული ვალდებულების შესრულება მხარეთა შორის შეთანხმებ- ული და მათთვის მისაღები ფორმით იწვევს მათ შეწყვეტას. ხელშეკრულებით გათ- ვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულება კი გამოიწვევს თავად ხელშეკრულების, როგორც ვალდებულებათა ერთობლიობის შეწყვეტას. ამას მოჰყვება მთლიანად ვალდებულებითსამართლებრივი, კერძოდ, სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტა რაც ყოველი სამართლებრივი ურთიერთობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. სამართლებრივ ურთიერთობებს გააჩნიათ დასაწყისი და დასასრული, რაც სავსებით ლოგიკურია. ყოველი კონკრეტული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობა ორიენტი-რებულია მიზნის მიღწევით შეწყვეტაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია ვალდებულებათა შეწყვეტის სხვადასხვა ფორმა. ვალდებულების შეწყვეტის შემდეგ, მონაწილეებს ერთმანეთთან აღარ აკავშირებთ არანაირი უფლება-მოვალეობები. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მხარეებმა მიზანს მიაღწიეს. ხშირად ვალდებულების შეწყვეტას იწვევს ზოგიერთი იურიდიული ფაქტები, რომლებიც თავის მხრივ ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებს წარმოადგენე. ვალდებულების შესრულება დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი დოკუმენტით. კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით მას უნდა გადასცეს ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. ხშირ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ხელწერილი. ამ დოკუმენტში უნდა იყოს

[14] სახელშეკრულებო სამართალი. თბ. 2014 გვ. 309

მითითებული თანხა, რომელიც შეესაბამება შესრულებულ ან ნაწილობრივ შესრულებულ სამუშაოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია. გარდა ამისა, ამ დოკუმენტში უნდა იყოს მითითებული მოვალის სახელი, გვარი, შესრულების დრო, ადგილი (ს.კ. 429-ე, 430-ე მუხლები). ბოლოს მოვალეს უფლება აქვს მოითხოვოს ოფიციალურად დამოწმებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია (ს.კ. მუხ. 431-ე). თუ ასეთი დოკუმენტის გაცემამ შესაძლოა გამოიწვიოს ხარჯები, მაშინ ეს ხარჯები მოვალეს ეკისრება, თუ სხვა სახის შეთანხმება არ არსებობს. მოვალეს აქვს უფლება უარი თქვას შესრულებაზე, თუ კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემაზე _ ასეთ შემთხვევაში კრედიტორი ჩაითვლება ვადის გადამცილებლად (ს.კ. 433-ე მუხლი). ვალდებულება ხშირ შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით, თუკი ამაზე მხარეები შეთანხმდებიან (ს.კ. 428-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, თავს არიდებს, უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მაშინ მოვალეს შეუძლია გამოიყენოს ვალდებულების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი _ საგნის შენახვა სასამართლოში ან ნოტარიატში, ფულისა და ფასიანი ქაღალდების შეტანა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე _ დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისგან (ს.კ. 434-ე მუხლი). შენახვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება კრედიტორს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოვალემ უკან დაიბრუნა საგანი (ანუ მოვალემ თავიდანვე სასამართლოს ან ნოტარიუსისათვის ქონების გადაცემისას განაცხადა, რომ იგი უკანვე დაიბრუნებს ამ საგანს). სასამართლო და ნოტარიუსი შესრულების საგანს ინახავს სამ წლამდე ვადით. თუ ამ ვადაში კრედიტორი არ მიიღებს ამ საგანს, ამის შესახებ ეცნობება მოვალეს და მოეთხოვება ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება და თუ არც მოვალე არ მიიღებს საგანს, მაშინ იგი ჩაითვლება სახელმწიფო ქონებად (ს.კ. 441-ე მუხლი). ვალდებულება შეიძლება შეწყდეს ურთიერთ-მოთხოვნათა გამოქვითვით, მაშინ როდესაც დამდგარია შესაბამისი მოთხოვნების ვადა, ან ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ურთიერთმოთხოვნაში იგულისხმება ისეთი ორი მოთხოვნა, როდესაც ერთი მოთხოვნით კრედიტორი ამავე დროს წარმოადგენს მოვალეს მეორე მოთხოვნის მიხედვით (ს.კ. 442-ე, 443-ე, 444-ე, 445 ე, 446-ე მუხლები).

იმ შემთხვევებში, როდესაც კრედიტორი ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების შესრუ-ლებისაგან, ადგილი აქვს ვალდებულების შეწყვეტასპატიებით. ამ შემთხვევაში აუცილებელია მეორე მხარის თანხმობა (ს.კ. 448-ე მუხლი). ვალდებულების პატიება განსხვავდება ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მხარის მიერ თავის მოთხოვნაზე უარის თქმისაგან _ თუკი მენარდემ უარი თქვა ანაზღაურების მიღებაზე, ამით იგი არ თავისუფლდება ვალდებულების შესრულებისაგან, თუკი მეორე მხარემაც არ თქვა უარი თავის მოთხოვნაზე (ს.კ. 451-ე მუხლი)

როდესაც მოვალეზე გადადის კრედიტორის მოთხოვნის უფლება, ან კრედიტორზე მოვალის ვალდებულება, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება, რამეთუ შეუძლებელია არსებობდეს ვალდებულება, რომელშიც მხოლოდ კრედიტორი ან მხოლოდ მოვალეა (ს.კ. 452-ე მუხლი). მოვალე და კრედიტორი ერთიდაიგივე პირი შეიძლება აღმოჩნდეს იურიდიული პირის რეორგანიზაციის, შერწყმის, შემოერთების დროს, ასევე სხვა შემთხვევაში. მოვალის გარდაცვალება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ ვალდებულების შესრულება მისი პირადი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. მაგ: ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის ვალდებულება. კრედიტორის გარდაცვალება მაშინ შეწყვეტს ვალდებულებას, თუ შესრულება პირადად მისთვის იყო გათვალისწინებული (მაგალითად, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა).

ვალდებულების შეწყვეტას იწვევს ასევე იურიდიული პირის ლიკვიდაცია, რომელიც დგება ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან (ს.კ. 454-ე მუხლი). გარდა ამისა, ცნობილია, რომ დავალების ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს მხარეების მიერ ნებისმიერ დროს (ს.კ. 720 ე მუხლი).

ხელშეკრულების შეწყვეტა და ვალის დაბრუნება სესხის დაბრუნების ვადა შეგიძლიათ ზუსტად განსაზღვროთ ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია აღნიშნულ ვადაში დააბრუნოს სესხად მიღებული ფული ან ნივთი. თუ ხელშეკრულებით სესხის დაბრუნების ვადა წინასწარ არ არის აღნიშნული, სესხის გამცემს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს სესხის დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში მოვალე ვალდებულია სამი თვის განმავლობაში დააბრუნოს ვალი. გამსესხებელს უფლება აქვს დაუყონებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას. გამსესხებელს მაშინაც შეუძლია სესხის დაუყონებლივ დაბრუნების მოთხოვნა, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, ხოლო გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ. რაც შეეხება მოვალის ინიციატივით სესხის დაბრუნებას, როდესაც ხელშეკრულებაში სესხის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არაა, მას ნებისმიერ დროს შეუძლია დააბრუნოს ვალი და გამსესხებელი ვალდებულია დაუყონებლივ მიიღოს შესრულებული ვალდებულება. როდესაც ხელშეკრულება ვადიანია მო ვალეს სესხის დაბრუნება ვადის გასვლამდე შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ პროცენტის გადახდა გათვალისწინებული არ იყო. პროცენტიანი ვალის დაბრუნება ვადაზე ადრე შესაძლებელია მხარეთა წინსაწარი შეთანხმებით. თუ მხარეთა შორის ასეთი შეთანხმება არ მომხდარა, მაშინ პროცენტიანი ვალის ვადაზე ადრე დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ გამსესხებლის თანხმობით, რადგან საბოლოოდ ვალის ვადაზე ადრე დაბრუნება ამ უკანასკნელისათვის

პროცენტის სახით მისაღები შემოსავლის დაკლებას იწვევს. სესხის შეპირება სესხის შეპირების ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ამ დროს ერთი პირი პირდება მეორეს, რომ განსაზღვრულ დროს სესხად მისცემს ფულს ან რაიმე ნივთს. სესხის შეპირებისას შემპირებელს შეუძლია უარი თქვას სესხის მიცემაზე, თუ მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალის დაბრუნებას.

3.2 კერძო აღსრულებიდან წარმოშობილი სასამართლო დავები

კერძო აღსრულებიდან წარმოშობილ სასამართლო დავებში ძირითადად მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს მოვალე სუბიექტები, რაც შეეხება დავის საგანს, მოსარჩელეები უმეტესწილად ითხოვენ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცემული განკარგულების ბათილად ცნობას. განკარგულება წარმოადგენს უძრავ ქონებაზე უფლების დამდგენ დოკუმენტს, რომლითაც იძულებით აუქციონში გამარჯვებული პირი იძენს საკუთრების უფლებას ნივთზე, აღნიშნული დოკუმენტის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად.

წარმოდგენილი კვლევისათვის ერთობ მნიშნველოვანია განისაზღვროს სასამართლოს დამოკიდებულება აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებულ დავებში, ამიტომ განვიხილავ და გავაანალიზებთ რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილებას.

თავი IV. კვლევის შედეგები

დასკვნა

კერძო აღსრულების ინსტიტუტი საქართველოში 2009 წელს ევროპული კარგი პრაქტიკის გაზიარებით შეიქმნა. ეს ინიციატივა მიზნად ისეთი ალტერნატიული აღსრულების მექანიზმების ჩამოყალიბებას ისახავდა, რომელიც, საჯარო აღსრულებასთან შედარებით, იქნებოდა უფრო იაფი, სწრაფი და ეფექტიანი. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ შექმნის მომენტიდან დაიწყო ინსტიტუტის დაკნინების პროცესიც იმ უამრავი საკანონმდებლო თუ ფაქტობრივი შეზღუდვებით, რომელიც ეტაპობრივად უწესდებოდათ კერძო აღმასრულებლებს. მაგალითისთვის იუსტიციის მინისტრის ბრძანება, წინასწარი კონსულტაციის გარეშე ათჯერ გაძვირებული საფასური, რომლის შედეგადაც სრულიად მოულოდნელად კერძო აღმასრულებლებს საქმიანობა მნიშვნელოვნად გაუძვირდათ. ასევე, აღმოჩენილია გასულ წლებში კერძო აღსრულების ინსტიტუტისთვის შექმნილი სხვა ბარიერები, რომელიც ცხადყოფს, რომ ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, კერძო აღსრულება შეწყვეტს ფუნქციონირებას და მისი არაფორმალური გაუქმება მოხდება.

დასაბუთებულია, რომ 2015 წლის 27 აგვისტოს იუსტიციის მინისტრმა გამოსცა ბრძანება N96, რომლის შედეგად, კერძო აღმასრულებლებს მათი საქმიანობისთვის აუცილებელი სააღსრულებო წარმოების ელექტრონული პროგრამით სარგებლობის საფასური 10-ჯერ გაეზარდათ. კერძოდ, მანამდე არსებული წელიწადში 500 ლარიდან - 5000 ლარამდე. საფასური კერძო აღმასრულებლებთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე გაიზარდა. თანხის გადასახდელად აღმასრულებლებს 15 დღე განესაზღვრათ. საფასურის მკვეთრი გაზრდის მიზეზის შესახებ სამინისტროს მხრიდან რაიმე სახის განმარტება ან დასაბუთება არ გაკეთებულა.

წარმოდგენილია, რომ კანონი იმპერატიულად ავალდებულებს კერძო აღმასრულებლებს საქმიანობისთვის გამოიყენონ სააღსრულებო წარმოების ელექტრონული პროგრამა, რომლის სარგებლობისთვის ისინი ყოველ წელიწადს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან პროგრამის სარგებლობის შესახებ ერთწლიან ხელშეკრულებას დებენ. თავის მხრივ, კერძო აღმასრულებლებისათვის ელექტრონული პროგრამით სარგებლობის უფლების შეუფერხებლად მიწოდებას კანონი აღრსულების ეროვნულ ბიუროსაც ავალდებულებს. კანონის შესაბამისად,

კერძო აღმასრულებლები ყოველ წელს ანახლებდნენ აღსრულების ბიუროსთან ხელშეკრულებას პროგრამის გამოყენებაზე.
2015 წლის ივნისში აღმასრულებლებს ამოეწურათ ხელშეკრულების მოქმედების ვადა, თუმცა მათი არაერთი სატელეფონო კომუნიკაციის მიუხედავად, ხელშეკრულების დადება გაურკვეველი მიზეზით ვერ ხდებოდა. ამ პერიოდში კერძო აღმასრულებლები პროგრამით უსასყიდლოდ სარგებლობდნენ. 2015 წლის 27 აგვისტოს გამოქვეყნდა მინისტრის ბრძანება, რომლითაც 10-ჯერ გაიზარდა პროგრამით სარგებლობის საფასური. 2 სექტემბერს აღმასრულებლებმა მორიგი შეტყობინება მიიღეს, რომელიც მათ 15 დღის ვადაში ხელშეკრულების დასადებად აღსრულების ეროვნულ ბიუროში გამოცხადებას ავალდებულებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო აღმასრულებლებს ელექტრონული პროგრამით სარგებლობის უფლება შეუწყდებოდათ.
კერძო აღმასრულებლებმა საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრეს მინისტრის ბრძანების მე-4 მუხლი, რომლითაც ელექტრონული პროგრამით სარგებლობის საფასური გაიზარდა, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოითხოვეს ნორმის მოქმედების შეჩერება. 17 სექტემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება, რომლითაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საფასურის გაზრდის შესახებ ნორმის მოქმედება შეაჩერა.
მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 21 სექტემბერს 15 დღიანი ვადის გასვლის მოტივით პროგრამის მიწოდება შეწყვიტა, რითიც კერძო აღმასრულებლების საქმიანობის სრული პარალიზება მოახდინა.
კერძო აღმასრულებლებმა აღსრულების ეროვნულ ბიუროს წერილობით მოსთხოვეს განმარტება, თუ რატომ შეუწყდათ ელექტრონული პროგრამის მიწოდება და რატომ არ ხდება მათთან ხელშეკრულების დადება. კერძო აღმასრულებლების განცხადებით, ბიუროს წარმომადგენლები ზეპირ საუბარში აცხადებენ, რომ ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას მოკლებული არიან, რადგან სასამართლომ გააუქმა ბრძანების მოქმედება, რაც დაუსაბუთებელი არგუმენტია, რადგან სასამართლომ არა სრული ბრძანება, არამედ მხოლოდ მე-4 მუხლის მოქმედება შეაჩერა, რომელიც მხოლოდ მომსახურების საფასურს განსაზღვრავს, ხოლო ხელშეკრულების დადების ვალდებულება ბიუროს კვლავ დარჩა.
კერძო აღმასრულებლების განცხადებით, აღსრულების ბიურო ბოლომდე გამოიყენებდა მათ წერილზე (ადმინისტრაციულ საჩივარზე) პასუხის გასაცემად კანონით განკუთვნილ ერთ თვეს, რადგან ბიუროს შესაბამისი თანამდებობის პირებისთვის ცნობილია, რამდენად მძიმე ფინანსური თუ სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს კერძო აღმასრულებლებისთვის ელექტრონული პროგრამის გამორთვას. უფრო მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით,

კერძო აღმასრულებლები იძულებული გახდნენ სასამართლოდან გამოეხმოთ უზრუნველყოფის ღონისძიება - ნორმის მოქმედების შეჩერება, რის შედეგადაც, კვლავ ამოქმედდა მინისტრის ბრძანების მე-4 მუხლი. ამ გადაწყვეტილების მიღება განპირობებული იყო გამოუვალი მდგომარეობით, რადგან აღმასრულებლებს აღარ ეძლეოდათ პროგრამის გამოყენების საშუალება თუნდაც ათჯერ გაუარესებული პირობებით და ეს დიდ ზიანს აყენებდა არა მარტო კერძო აღმასრულებლებს, არამედ იმ მოვალეებს ვინც დავალიანება გადაიხადა და ასევე იმ კრედიტორებს, ვისაც საქმის შემოტანა სურდათ.

ზემოთ განხილული პრობლემა პირველი არაა, რომელიც წარმოდგენილ კველვაში იქნა აღმოჩენილი, ქვემოთ მოკლედ აღვწერთ იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ შეზღუდვებს, რაც კერძო სააღსრულებო სისტემაში გამოვლინდა და დღემდე აქტუალურია. ევროკავშირის რეკომენდაციების, მისი ფინანსური და ტექნიკური დახმარების მეშვეობით, კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი საქართველოში 2009 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა. შესაძლო ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით, ახალშექმნილი ინსტიტუტი დაკვირვებას, დახვეწას და ნდობის დამსახურებას საჭიროებდა. აქედან გამომდინარე, კერძო აღმასრულებლებს იმთავითვე დაუწესდათ რამდენიმე საკანონმდებლო შეზღუდვა: აუქციონის ჩატარების ექსკლუზიური უფლება მიეცა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს; კერძო აღსრულების ინსტიტუტის შექმნა ევროპული ქვეყნების გამოცდილების და მათი კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით მოხდა, რასაც ლოგიკურად უნდა მიეყვანა ქვეყანა მთლიანად კერძო აღმასრულებელთა მომსახურების გადასვლაზე. იგივე ტენდენციები იკვეთება ევროპის ქვეყნებშიც სააღსრულებო ორგანოების სამართლებრივი სტატუსის თვალსაზრისით. ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობას კერძო ან შერეული აღსრულების ორგანოები გააჩნიათ (იგივე ვითარებაა ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაშიც). კერძო აღმასრულებელთა ინსტიტუტის არსებობა სახელმწიფოს ათავისუფლებს ხარჯებისაგან, ახდენს კონკურენციის სტიმულირებას, ხელს უწყობს მომსახურების ხარისხის ზრდას და მის გაიაფებას, რაც მნიშვნელოვანია სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. ეს ასევე თანხვედრაშია იმ პრინციპთან, რომ მომსახურებას რომლის მიწოდება კერძო სექტორს შეუძლია სახელმწიფო არ უნდა აწვდიდეს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობებისა, კერძო აღსრულების ინსტიტუტის სასარგებლოდ მეტყველებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი - მისი მომსახურების საფასური ნაკლებია, ვიდრე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურება. აღსრულების ბიუროს შემთხვევაში, თანხის გადახდევინების საქმეებზე საფასური შეადგენს გადასახდელი თანხის 7%-ს (ხოლო კრედიტორისთვის 2%-ს), აღსანიშნავია, რომ ეს საფასური

მთლიანად მიემართება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. კერძო აღმასრულებლების შემთხვევაში საფასური გაცილებით ნაკლებია (როგორც წესი ჯამში 5%-ის ფარგლებში), რაც უდავოდ სასარგებლოა როგორც კრედიტორისთვის, ასევე მოვალისათვის. დღიდან დაარსებისა კერძო აღსრულების ინსტიტუტმა ეფექტიანად იმუშავა, რაზეც მეტყველებს კერძო აღმასრულებლების სასარგებლოდ ათიათასობით კრედიტორის მიერ გაკეთებული არჩევანი (საქართველოში მოქმედი მსხვილი საფინანსო ინსტიტუტების აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის ბანკები, სააღსრულებო წარმოებისას თანამშრომლობს კერძო აღსრულებელთან).

გამოვლენილია, რომ 2010 წელს 500 000 ლარს ზემოთ არსებულ მოთხოვნებზე კერძო აღმასრულებელს ჩამოერთვა სააღსრულებო წარმოების განხორციელების უფლება, რითაც ხელოვნურად მოხდა აღსრულების ეროვნული ბიუროს უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება; ასევე, წარმოდგენილი კვლევის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ 2012 წელს საფრანგეთის სააღსრულებო სისტემიდან გადმოღებული ფაქტების კონსტატაციის ომსახურების განხორციელების უფლება არ მიეცათ კერძო აღმასრულებლებს და მხოლოდ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელთა უფლებამოსილებად იქცა, რაც განსაკუთრებით ალოგიკურია იმის გათვალისწინებით, რომ თავად საფრანგეთში ეს ფუნქცია მხოლოდ კერძო აღმასრულებლებს აქვთ; ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტების გარეშე, მოხდა კერძო აღმასრულებელთათვის გაწეული სააუქციონო მომსახურების საფასურის მინიმალური ზღვრის გაორმაგება, რაც კერძო აღმასრულებელს იმ შემთხვევაშიც კი თუ სარეალიზაციო ქონების ღირებულება 100 ლარს შეადგენს, აიძულებს 200 ლარი გადაუხადოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს;

მხარეთათვის აღსრულების პროცესში საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებისათვის დაწესებული იქნა საფასური და აღმასრულებელი დავალდებულებული იქნა საჯარო გამოქვეყნების პუბლიკაცია განახორციელოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებგვერდზე. ამასთანავე, ვებგვერდზე თითოეული საჯარო გამოქვეყნებისათვის კერძო აღმასრულებელს უწევს 50 ლარის გადახდა, რაც არაადეკვატურად მაღალი საფასურია; აუქციონის გამოცხადებამდე სააუქციონო განაცხადის უკან გამოთხოვისას კერძო აღმასრულებლის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურიდან ბრუნდება მხოლოდ ნახევარი, ხოლო აუქციონის გამოცხადების შემდეგ საერთოდ არ ბრუნდება მაშინ, როცა სასამართლოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების წარმოებისას, თუნდაც მოსამართლეს დასრულებული ჰქონდეს საქმის განხილვა, სარჩელის გამოხმობის დროს სახელმწიფო ბაჟი ბრუნდება სრულად;

განსხვავებული დისციპლინური პასუხიმგებლობის ზომებიც კერძო აღმასრულებლისა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირებისათვის, კერძოდ, კერძო აღმასრულებლისათვის არის გაფრთხილება და შემდეგ - ლიცენზიის შეწყვეტა, ხოლო ბიუროში დასაქმებულთათვის სამსახურიდან დათხოვნამდე (როგორც უკიდურეს სახდელამდე) 7 სახის სახდელის გამოყენება მაინც არის შესაძლებელი;
კერძო აღმასრულებლისათვის სააუქციონო მომსახურების ფარგლებში აღსრულების ეროვნული ბიურო საკუთრებაში სრულად იტოვებს ჩაშლილი აუქციონის დროს (როცა აუქციონში გამარჯვებული აღარ იხდის საბოლოო თანხას) გამარჯვებულის მიერ გადახდილ საგარანტიო თანხას, რომლის ოდენობა აუქციონზე სარეალიზაციო ქონების საბაზრო ღირებულების 5%-ს შეადგენს. ამდენად, ეს თანხა არც კრედიტორის და არც კერძო აღმასრულებლის ინტერესებს არ ხმარდება.

ჩემს მიერ მომზადებული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ კერძო აღმასრულებლის ლიცენზიის მისაღებად სავალდებულო საკვალიფიკაციო გამოცდა 2011 წლის შემდეგ არ ჩატარებულა; სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ბევრი ფუნქციით, რომელსაც წარმატებით იყენებს აღსრულების ეროვნული ბიურო, სარგებლობის შესაძლებლობა არ ეძლევა კერძო აღმასრულებელს (ბანკებში ელექტრონულად ყადაღის დადება, საჯარო რეესტრში ქონების ელექტრონულად მოძიება, საგადასახადო სამსახურიდან მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულად მოძიება, აუქციონების მიმდინარეობის და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღების შეზღუდვა და ა.შ.); კერძო აღმასრულებლებს არ ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ და ისარგებლონ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით (დეს);

აღსრულების ეროვნული ბიურო, მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, ერთთვიან ვადაში არათუ არ უწევს კერძო აღმასრულებელებს სააუქციონო მომსახურებას, არამედ ხშირ შემთხვევაში ერთი თვის ვადაში არც კი იწყებს აუქციონების ჩატარებას;

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 (ახ. რედ.);
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997;
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი 1950 წლის 4 ნოემბერი;
4. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, თბ., 1999

მონოგრაფიები

5. შალვა ქურდაძე სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბ.,გამომცემლობა შპს „დანი“ 2018

ვებ. გვერდები 6.

www.matsne.gov.ge

7. www.supremecourt.ge